ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## ხაზარაძე-ჯაფარიძე-წერეთელი სასამართლოში დაიბარეს





გვ.5

ხუთშაბათი, 24 ივნისი, 2021 | №113 (8642) | ფასი: 60 თეთრი

# სააკაშვილი და გახარია ვაშინგტონში ერთმანეთს შეხვდნენ





გვ.2

## 32% — „ქართული ოცნება“ 23% — ნაციონალური მოძრაობა 8% — გახარიას პარტია






იპსოსმა კვლევა ჩაატარა

გვ.2

## ვატო სურგულაძე: „განუკითხაობაა ქვეყანაში, ვაქცინებსაც თამარ ჟვანია ითვლიდა?!“



გვ.3

## გია ხუხაშვილი: „ოცნება“ სასამართლო სისტემის მძევალია“



გვ.4

## გიგლა ბარამიძე: „ოცნებას“ ნაცმოძრაობის აქტივისტებისა ეშინია“



გვ.4

## შინაგან საქმეთა მინისტრი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელსა და მეკავშირე ოფიცერს შეხვდა



გვ.5

## ლევან ალაფიშვილი: „ოპოზიციამ მიშელის დოკუმენტზე ხელმოწერის დროს შეცდომა დაუშვა“



გვ.3

ISSN 1987-9385

**5** გომელაური: „ბადრი ესებუა საქართველოშია და მის დაკავებაზე ვმუშაობთ“

**2** რომელი სახეობის პური შეიძლება გაძვირდეს 10 თეთრით

**2** „მოგმართავთ თხოვნით, უშუამდგომლოთ გახელაძეს“ ილია მეორის წერილი რუსეთის პატრიარქს

**6** აშშ: „დაპატიმრებულია პირი, რომელიც ბაიდენს მოკვლით ემუქრებოდა“

# სააკაშვილი და გახარია ვაშინგტონში ერთმანეთს შეხვდნენ

„კურიერის“ ინფორმაციით, გიორგი გახარიასა და მიხეილ სააკაშვილს შორის შეერთებულ შტატებში კონსპირაციული შეხვედრა შედგა.

„რუსთავი 2“-მა გაარკვია, რომ შეერთებულ შტატებში ნაციონალური მოძრაობისა და პარტიის „საქართველოსთვის“ დელეგაციები ერთ სასტუმროში იმყოფებოდნენ.

შედგა თუ არა რაიმე ტიპის შეხვედრა გიორგი გახარიასა და ნიკა მელიას შორის, უცნობია, თუმცა იმას, რომ ყოფილი პრემიერი იმავე სასტუმროში იმყოფებოდა, სადაც ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ადასტურებს, ასევე, ვაშინგტონში მყოფი თინათინ ბოკუჩავა, თუმცა, იმასაც ამბობს, რომ სასტუმროდან გიორგი გახარია „გაიქცა“.

სასტუმროს ტერიტორია გიორგი გახარიამ უკვე დატოვა, თუმცა „კურიერმა“ მისი დაცვის წარმომადგენელი კვლავ სასტუმროში დააფიქსირა.

ასევე, ამავე სასტუმროში ჩავიდა მიხეილ სააკაშვილიც, თუმცა მან „რუსთავი 2“-თან კომენტარი არ გააკეთა.



ნაციონალური მოძრაობის წევრი ზაალ უდუმაშვილი უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მიხეილ სააკაშვილი და გიორგი გახარია ერთმანეთს ვაშინგტონში შეხვდნენ.

როგორც უდუმაშვილი ამბობს, გავრცელებული ინფორმაცია „ქართული ოცნების“ მხრიდან ახალი ნარატივია, რომ თემის სხვა მიმართულებით გადატანა მოხდეს.

– არანაირი შეხვედრა არ ყოფილა. ის, რომ ერთ ქალაქში აღმოჩნდნენ შემთხვევით და, შესაძლოა, ერთ სასტუმროშიც, ეს არ ნიშნავს იმას, რომ შეხვედრა შედგა. ვფიქრობ, ეს არის „ქართული ოცნების“ მხრიდან ახალი ნარატივი იმის შესახებ, რომ მოხდეს თემის გადატანა სხვა მიმართულებით, – განაცხადა უდუმაშვილმა.

პარტია „საქართველოსთვის“ წევრ ანა ბუჩუკურის განცხადებით, მმართველი პარტიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ მიხეილ სააკაშვილი და გიორგი გახარია ვაშინგტონში ერთმანეთს შეხვდნენ, ტყუილია.

როგორც ანა ბუჩუკურმა ჟურნალისტებს განუცხადა, გიორგი გახარია არც იმ სასტუმროში იმყოფება, სადაც მიხეილ სააკაშვილი დააფიქსირეს.

– ეს არის მმართველი პარტიის მორიგი ტყუილი. როგორც ჩანს, ძალიან ნერვიულობენ იმ შეხვედრებზე, რაც ბატონ გახარიას ჰქონდა ბრიუსელში და ახლა უკვე ამერიკაში აქვს. სამწუხარო არის ის, რომ ამ შემთხვევაში ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ც ჩართეს ამ ტყუილების ტირაჟირებაში. ძალიან ვწუხვარ ამაზე. ესეც არის ტყუილი, რომ ბატონი გახარია და სააკაშვილი ცხოვრობენ ერთ სასტუმროში. სასტუმროს დასახელება ნამდვილად არ ვიცი. ტყუილია, რომ ბატონი გახარია შეხვდა მიხეილ სააკაშვილს და ტყუილია, რომ ისინი ცხოვრობენ ერთ სასტუმროში.

ფაქტია, რომ ძალიან მნიშვნელოვანი და სერიოზული შეხვედრები ჰქონდა ბატონ გიორგი გახარიას, როგორც ბრიუსელში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ბევრი სერია ვნახეთ აქამდე ტყუილების და ეს, თუ არ ვცდები, მე-4 სერიაა, რომელიც მმართველი პარტიის მხრიდან წამოვიდა. მმართველ პარტიას რომ აქვს პანიკა, ეს არის ფაქტი. საზოგადოებაც ღიმილით უყურებს ამას და „ქართული ოცნება“ ამას უკვე თავის პარტაქტივსაც ვერ აჯერებს. შეხვედრა არ შემდგარა, – განაცხადა ანა ბუჩუკურმა.

სხვა პოზიცია აქვს მმართველ პარტიას.

– ნამდვილად ვერ ვიფიქრებდით, რომ ასე მალე მოხდებოდა და ასე გაებმებოდნენ ისინი – როგორც ჩანს, სამომავლო გეგმებზე სასაუბროდ შეხვდნენ, – განაცხადა „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ.

მდინარაძის თქმით, სააკაშვილის და გახარიას ერთმანეთთან შეხვედრა „ბევრ რამეზე აუხელს თვალს ბევრ ადამიანს ამ ქვეყანაში“.

– ახლა შეიძლება დაიწყონ საუბარი იმაზე, როგორ აღმოჩნდნენ შემთხვევით ამ პატარა ქვეყნის პატარა დედაქალაქში ერთ სასტუმროში, იმიტომ რომ მეორე სასტუმროში ადგილი არ იყო. დაახლოებით ასეთ არგუმენტებს ველოდებით. სიმართლე არის ერთი – ეს იყო ლეგიტიმური ეჭვი, ეჭვი, რომელიც დღეს დადასტურდა ფაქტებით. წარმოუდგენელი და გამორიცხული იყო გახარიას მოქმედებები ამის გარეშე. როგორც ჩანს, ისინი სამომავლო გეგმებზე სასაუბროდ შეხვდნენ, თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია.

ის ფაქტი, რომ ისინი ერთმანეთს ერთ სასტუმროში შეხვდნენ „შემთხვევით“, ბევრ რამეზე მეტყველებს, ბევრ რამეზე აუხელს თვალს ბევრ ადამიანს ამ ქვეყანაში, – განაცხადა მდინარაძემ.

# „მოგმართავთ თხოვნით, უშუამდგომლოთ გახელაძეს“

## ილია მეორის წერილი რუსეთის პატრიარქს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე რუსეთის პატრიარქ კირილს საოკუპაციო ძალების მიერ უკანონოდ დაკავებულ ზაზა გახელაძესთან დაკავშირებით წერილს უგზავნის.



ილია მეორე რუსეთის პატრიარქისგან პატიმრის გათავისუფლებას ითხოვს.

„სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წერილი რუსეთის პატრიარქს ზაზა გახელაძესთან დაკავშირებით.

მის უწმინდესობას, კირილეს,

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს

თქვენო უწმიდესობავ,

მოგესალმებით პატივისცემით და გაწუხებთ შემდეგი საკითხის გამო: ჩვენ დახმარებისათვის მოგვმართეს ზაზა გახელაძის ოჯახის წევრებმა. კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალაში მცხოვრები გახელაძე ზ.მ. გასული წლის ზაფხულში სანადიროდ იმყოფებოდა თავისი სოფლის ახლოს, სხვილოს ისტორიული ციხის და ცხინვალის რეგიონთან არსებული დროებითი საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე და დაკავებული იქნა რუსეთის ფედერაციის მესაზღვრე სამხედრო-მოსამსახურეთა მიერ.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ამჟამად იგი ცხინვალის იზოლატორშია და მისჯილი აქვს 12.5 (!) წელი. ეს არის მეტად მძიმე განსაცდელი როგორც პირადად მისთვის, ისე მისი მშობლების, მეუღლის და არასრულწლოვანი შვილებისათვის.

მოგმართავთ თხოვნით, უშუამდგომლოთ გახელაძე ზ.მ.-ს, რათა იგი პატიმრობიდან გაათავისუფლონ და ოჯახს დაუბრუნდეს. კარგად გვესმის, რომ ეს რთული საკითხია, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ გახელაძე იქ გაუცნობიერებლად მოხვდა.

მისი გათავისუფლება იქნება სიხარულის მომტანი მთელი ქართველი ხალხისათვის, რომელიც გულითადად თანაუგრძნობს მას ამ გაუგებრობის გამო.

თქვენო უწმიდესობავ, თქვენ ადრეც არაერთხელ დაგვეხმარეთ მსგავს სიტუაციებში, რის გამოც კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას და ვიმედოვნებთ, ამჟამადაც, თქვენი შესაძლებლობისამებრ, ყველაფერს გააკეთებთ.

აღვავლენთ ლოცვებს თქვენი კეთილდღეობისა და ღვთისათნო მსახურებაში განმტკიცებისათვის.

ქრისტესმიერი სიყვარულით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი“, – ნათქვამია პატრიარქის წერილში.

# 32% — „ქართული ოცნება“, 23% — ნაციონალური მოძრაობა, 8% — გახარიას პარტია

## იპსოსმა კვლევა ჩაატარა

რომელ პარტიას მისცემდით ხმას, ხვალ რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ტარდებოდეს?




იპსოსის კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 32% ხმას „ქართულ ოცნებას“ მისცემდა, 23% – ნაციონალურ მოძრაობას, 8% კი – გიორგი გახარიას მიერ ახლადშექმნილ პარტიას – „საქართველოსთვის“.

**სხვა პარტიების შესახებ მონაცემები კი ასეთია:**

„გირჩი – მეტი თავისუფლება“ – 5%

„ევროპული საქართველო“ – 3%

„ლეიბორისტული პარტია“ – 3%

„პატრიოტთა ალიანსი“ – 3%

„ლელო საქართველოსთვის“ – 2%

„სტრატეგია აღმაშენებელი“ – 2%

„მოქალაქეები“ – 2%

„ერთიანი საქართველო – დემოკრატიული მოძრაობა“ – 1%

„დროა“ – 1%

„გირჩი“ – 1%

„ერთობა, რაობა, იმედი – ერი“ – 1%

სხვა – 2%

უარი პასუხზე – 11%

გამოკითხვა ჩატარდა მთელი საქართველოს მასშტაბით 7-დან 17 ივნისის ჩათვლით. სულ პირისპირ გასაუბრებით გამოკითხა 18 წელს ზემოთ ასაკის ათასი რესპონდენტი, რომლებიც შემთხვევითი პრინციპით იქნენ შერჩეულნი.

მონაცემების ცდომილების ზღვარი +/– 3%-ია.

# რომელი სახეობის პური შეიძლება გაძვირდეს 10 თეთრით

პირველ ივლისს ფქვილის სუბსიდირების პროგრამა სრულდება.



როგორც პურის მცხობელთა ასოციაციაში აცხადებენ, პროდუქცია იმ შემთხვევაში არ გაძვირდება, თუ წისქვილკომბინატები მწარმოებლებს ერთ ტომარა ფქვილს 50 ლარად მიაწვდიან.

„თუ წისქვილკომბინატები ფქვილს 50 ლარად მოგვაწვდიან, პურის ფასის ზრდის საკითხი დღის წესრიგში არ დადგება, თუმცა ეს, როგორც ვიცი, არ იგეგმება“, – ამის შესახებ რადიო „პალიტრასა“ და „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „საქმე“ პურის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელმა განაცხადა.

მალხაზ დოლიძის თქმით, თუ ბაზარზე კონკურენციის ჯანსაღი წესები იმოქმედებს, პური არ უნდა გაძვირდეს.

„ჩვენ დავინტერესდით, რა ფასად მივიღებთ ფქვილს პირველი ივლისიდან. მაგრამ ჯერ ამის პასუხი არ გვაქვს. გუშინ ვიყავით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში ხელმძღვანელობასთან შეხვედრაზე.

ჩვენ ვუთხარით, რომ ჩვენთვის საჭიროა ვიცოდეთ, რა ფასად მოგვაწვდიან ფქვილს, სულ რაღაც ერთ კვირაში. მათი პოზიციაა, რომ არის ბაზარზე ფაქტორები, რაც აიაფებს რუსულ ხორბალსა და ფქვილს. მაგალითად, 13 დოლარად შემოდის ფქვილი ყაზბეგის საბაჟოდან, გაიაფებული ხორბალი შემოვიდა ფოთის პორტში. კონკურენცია ქმნის ჯანსაღ გარემოს და მე ვთვლი, რომ თუ იმუშავებს საბაზრო ეკონომიკის პრინციპები, ფქვილის ფასი არ უნდა გაიქცეს.

ჩვენი ანგარიშით, ხარისხიანი სტანდარტებით გამომცხვარი პურის რიგი სახეობები შეიძლება 10 თეთრის ფარგლებში გაძვირდეს. თუმცა, ამას მაინც პირველი ივლისიდან დავაკვირდებით. თუ წისქვილკომბინატები ფქვილს 50 ლარად მოგვაწვდიან, პურის ფასის ზრდის საკითხი დღის წესრიგში არ დადგება, თუმცა ეს, როგორც ვიცი, არ იგეგმება. მე ვესაუბრე მეხორბლეთა ასოციაციის ხელმძღვანელს, რომელმაც მითხრა, რომ ფქვილის ფასი, შესაძლოა, 60 ლარის ფარგლებში იყოს, რაც, ცხადია, პურს გააძვირებს“, – განაცხადა დოლიძემ „საქმეში“.

# ქალთა კვოტირების წესი იცვლება

ქალთა კვოტირების წესი იცვლება. თუ აქამდე პარტიებს ჰქონდათ ვალდებულება საარჩევნო სიაში ყოველი მეორე ქალი ყოფილიყო, ახლა ეს ყოველი მესამეთი იცვლება. ქალთა მოძრაობის წევრებმა საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია დააფიქსირეს და თქვეს, რომ ახალი ცვლილება თვითმმართველობის არჩევნებში ქალთა თანასწორ თანამონაწილეობას ზღუდავს.




საარჩევნო კოდექსში ახალი ჩანაწერის მიხედვით, 2028 წლამდე თვითმმართველობის არჩევნებში სიის შედგენის წესს პარტია იმგვარად განსაზღვრავს, რომ სიაში ყოველი სამიდან ერთი კანდიდატი უნდა იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. აქამდე არსებული რედაქციით, ეს ვალდებულება პარტიას ყოველ მეორე წევრზე ჰქონდა. კანონპროექტის ავტორის განმარტებით, ცვლილება არჩევნებში ქალთა რაოდენობრივ წილს არ ცვლის.

პარტიული კუთვნილების მიუხედავად, ქალთა უფლებების დასაცავად ბრძოლას აპირებენ გენდერული საბჭოს წევრებიც. თუმცა ქალი დეპუტატები მმართველი პარტიიდან, ოპონენტებისგან განსხვავებით, არ მიიჩნევენ, რომ ქალთა კვოტირების წესის ცვლილება დისკრიმინაციული ხასიათისაა.

საარჩევნო კოდექსში შესატანმა ცვლილებებმა დეპუტატების მხარდაჭერა იურიდიულ კომიტეტზე გასულ კვირას მიიღო. საკითხის მუხლობრივი განხილვა პლენარულ სხდომაზე გაგრძელდება. საბოლოოდ როგორი ფორმულირებით გაიწერება ქალთა კვოტირების საკითხი კანონპროექტში, მიმდინარე კვირის ბოლომდე გახდება ცნობილი.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „განუკითხაობაა ქვეყანაში, ვაქცინებსაც თამარ ჟვანია ითვლიდა?!“

## ვატო სურგულაძე: „საშინელება მოხდება, თუ ჩვენკენ რუსი ტურისტები დაიძრნენ. მეოთხე ტალღას ვერ ავცდებით“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ჯანდაცვის ექსპერტი ვატო სურგულაძე პასუხობს.**

***– ბატონო ვატო, როგორია თქვენი შეფასებები პანდემიურ სიტუაციასთან დაკავშირებით? შეზღუდვებს ხსნიან, რეგულაციებს ამარტივებენ, თუმცა ამის პარალელურად მოსახლეობის ვაქცინაცია არ ხდება. ვაქცინა ფიზიკურად არ არის. რამდენად სწორი და თანმიმდევრულია ხელისუფლების პოლიტიკა ამ მიმართულებით?***

– რაც შეეხება კომენდანტის საათის მოხსნას, ჯერ მის დანიშვნასაც არ ჰქონდა აზრი. არავითარი ეპიდემიოლოგიური მნიშვნელობა ამ საკომენდანტო საათს არა აქვს. სიტუაციას მაინც ვერ აკონტროლებენ, ხალხი მაინც იკრიბება. მერე რჩებიან ერთ შენობაში, უფრო მეტი სიმჭიდროვეა. ჯერ რატომ შემოიღეს და ახლა რატომ მოხსნეს, ამასაც ვერ ასაბუთებენ ვერანაირად და მე ყველანაირი შეზღუდვების წინააღმდეგი ვარ. რაც შეეხება რეგულაციებს, ნიღბის ტარება, დისტანცია, რაოდენობა კვადრატულობაზე, დიდი რაოდენობის ხალხის შეკრება პატარა ფართზე, ეს იქნება ყველაზე დიდი პრობლემა. ჩვენ 2% გვყავს ორჯერადად აცრილი და 4%-ზე ცოტა მეტი – ერთი ვაქცინით.

***– ანუ არ გვაქვს სახარბიელო მდგომარეობა?***

– ნამდვილად არ ვართ იმ მდგომარეობაში, რომ მოვეშვათ. ძვირფასმა კრიზისმენეჯერმა რაც ქნა შარშან, კარგად ვნახეთ, რის შედეგადაც მივიღეთ აჭარის აფეთქება. მაშინ მაგარი კრიზისმენეჯერი ჰყავდათ და ახლა მოღალატედ რომ გამოაცხადეს. სწორედ აჭარიდან წამოსული აფეთქების შედეგად მივიღეთ ამდენი გარდაცვლილი. მსოფლიო სტატისტიკას რომ შევხედოთ, ბოლო ორი თვისას და არა ერთი წლისას, როგორც ჩვენი ხელისუფლება გვატყუებს, სხვაგან უფრო მეტი გარდაცვლილიაო. ბოლო ორი თვის მონაცემებით, ჩვენთან ერთ-ერთი ყველაზე მზარდია რაოდენობა გარდაცვლილების მილიონ მოსახლეზე. ეს არის პრობლემა დიაგნოსტიკის, პრობლემა დროული სტაციონარში გადაყვანის და შესაბამისი მკურნალობის.

***– რეგულაციები ახსენეთ და რამდენად შეძლებენ გაკონტროლებას?***

– აი, სწორედ ეგ არის საქმე. ბევრჯერ ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, პოლიცია არ უნდა გვყავდეს მიტინგების დასაშლელად. პოლიცია მაკონტროლებელი უნდა იყოს. მკაცრად უნდა აკონტროლონ სიტუაცია. პირველად გააფრთხილონ, რომ, ვთქვათ, რომელიღაც რესტორანში არ არის დაცული დისტანცია, მეორედ დავაჯარიმოთ და, თუ მესამედაც ვერ გაიგებენ, მერე საერთოდ დავხუროთ ის დაწესებულება. იგივე ეხება მაღაზიებს, სტადიონებს. ბათუმში სტადიონზე რაც ხდება, სასწაულია!

***– რა ხდება?***

– ხალხი ზის გვერდიგვერდ, ნიღბების გარეშე, ერთი ჭიქით სვამენ ლუდს. სად არის რეგულაციები? სტადიონზე უნდა იყოს შემდეგნაირად – ერთი სკამი, მერე ორის გამოტოვებით და ასე შემდეგ.

***– რეგულაციების შემსუბუქებით მაქსიმალურად მოეშვება მოსახლეობაო. თქვენც ხედავთ ამ საფრთხეს?***

– რა თქმა უნდა. თუ კონტროლი არ იქნება შესაბამისი, ასე იქნება. რეგულაციები საჭიროა. მე შეზღუდვების წინააღმდეგი ვიყავი, თორემ რეგულაციები ყველამ უნდა დავიცვათ და უნდა იყოს მკაცრი კონტროლი. დისტანცია, პირბადე და აი თუნდაც ტემპერატურას რომ უზომავენ, ამასაც არანაირი აზრი არ აქვს, სულ ტყუილად იხარჯება ამაზე ენერგია. ესეც უნდა გააუქმონ, სულ არ არის საჭირო სიცხის გაზომვა. დანარჩენი რეგულაციები უნდა იყოს მკაცრად დაცული.

***– რატომ შეიქმნა ვაქცინის დეფიციტი, რა მოხდა?***

– მარტში ჩავიცვი მაისური წარწერით: სად არის ვაქცინა?! დღეს ისევ დამჭირდა ამ მაისურის ჩაცმა. არ მეგონა, თუ კიდევ დამჭირდებოდა ეს მაისური. სად არის ვაქცინა? რატომ არ არის?! რატომ ვერ დავთვალეთ? ამ ვაქცინებსაც თამარ ჟვანია და ცესკო ითვლიდა? რატომ გვაქვს ისევ შეცდომები?! ის, რაც რესპუბლიკურში მოხდა, არ იყო გუშინდელი პრობლემა, რამდენიმე ხნით ადრე, ზუსტად იგივე პრობლემა რუსთავის საავადმყოფოსაც ჰქონდა. საერთოდ განუკითხაობაა, ხალხი დარეგისტრირებულია, მიდის ასაცრელად და უკან უშვებენ.

***– რატომ შეიქმნა დეფიციტი? სად წავიდა ასტრაზენეკას ვაქცინები? ხომ ორივე დოზა გათვალისწინებული იყო?***

– არასწორად გადაანაწილეს. როცა შემოვიდა ვაქცინა, თავიდანვე შუაზე უნდა გაეყოთ და მეორე უნდა ყოფილიყო დადებული მარაგში, რათა შემდეგ მეორე დოზა გაკეთებულიყო. ესეც ვერ დათვალეს, მარტივი არითმეტიკაა და ესეც არ იციან. კოვაქსი მოგვაწვდისო. კოვაქსი არ არის სანდო პარტნიორი. ეს უნდა იცოდე და წინასწარ უნდა გამიჯნო.

***– რამდენად სწორია, როდესაც ასტრაზენეკათი აცრილს მეორე დოზად ჩინურ ვაქცინას სთავაზობენ, ეს დასაშვებია?***

– ამაზე კვლევები მიმდინარეობს, შეიძლება თუ არა, ვაქცინა შეცვალო და მეორე დოზა სხვა ვაქცინით აიცრა. ამ ყველაფრის რეალური საფუძველი, რეალურ კვლევებზე დაფუძნებული დასკვნები ჯერ არ გაგვაჩნია.



**„5 ათას ვაქცინას ვერ მოუარეს. დაკარგულია, არ ვიცით, სად არის და მილიონ ვაქცინას მოუვლიან? მით უმეტეს ფაიზერს. იმას სჭირდება სპეციალური შენახვა, კადრების მომზადება, ტრანსპორტირება“**

***– ალბათ ასეთი ექსპერიმენტები სახიფათოა.***

– სახიფათო, შესაძლოა – არა, მაგრამ უშედეგო იყოს. თუ იქნება კარგი და სანდო კვლევები, შესაძლოა, მიიღოს მსოფლიომ ასეთი ტიპის მიდგომა, მაგრამ ამ ეტაპზე ეს არ არის. ხომ ვხედავთ, ზოგიერთი ქვეყანა ჩინური ვაქცინით აცრილებსაც არ უშვებს თავისთან. პირველი თუ ასტრაზენეკა გაქვს და მეორე – ჩინური, ამ შემთხვევაში რა იქნება?! მოკლედ, ძალიან ბევრი პრობლემა შეიქმნება ჩვენი ხელისუფლების უნიათობის გამო.

***– აღარ არის იმის შანსი, რომ შემოვიდეს ასტრაზენეკა?***

– შემოვა, კოვაქსი შემოიტანს, ფული გადახდილი გვაქვს, მაგრამ როდის, არავინ იცის. კოვაქსი არ არის სანდო პარტნიორი. ანდა ვინმეს კოვაქსი ორგანიზაცია ხომ არ ჰგონია? ეს არის ვირტუალური სივრცე, სადაც ირიცხება თანხა. სინი ყიდულობენ ამ ვაქცინებს და შემდეგ ხდება განაწილება. კოვაქსი არის ვირტუალური პლატფორმა და ის საკმაოდ არასანდო პარტნიორია.

***– მილიონი ვაქცინა შემოვა ძალიან მალეო და ეს განცხადებები რამდენად სანდოა?***

– ღმერთმა ქნას, ასე იყოს და ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნება. თუმცა უკვე რამდენჯერ მოგვატყუეს! რამდენჯერ! მონღოლეთმა ვაქცინაციის პროცესი აპრილში დაიწყო და უკვე მოსახლეობის 50% ჰყავს აცრილი ორმაგად, ჩვენ კი რა დღეში ვართ.

***– მასობრივი ვაქცინაცია იქნება ამ ზაფხულსო.***

– როგორ წარმოგიდგენიათ რომ მასობრივად იქნება, როცა 5 ათას ვაქცინას ვერ მოუარეს. დაკარგულია, არ ვიცით, სად არის და მილიონ ვაქცინას მოუვლიან? მით უმეტეს ფაიზერს. იმას სჭირდება სპეციალური შენახვა, კადრების მომზადება, ტრანსპორტირება. რას ვუშვრებით სოფლებს? სოფლებში თუ არ გავუშვით ე.წ. მობილური ბრიგადები, კარგად მომზადებული, თავისი რეანიმატოლოგით, ჩვენ სოფლებს ვერ მოვიცავთ. ამ პროცესს სჭირდება სერიოზული მომზადება. ჩემი არაერთგზის თხოვნა, გვაჩვენონ გეგმა, იგნორირებულია. არა აქვთ ეს გეგმა. გეგმა, რომელიც დაწერეს დეკემბერში, 17 მარტს ჩაეშალათ, მაშინ, როდესაც ახალციხეში ის ქალბატონი გარდაიცვალა. დღეს გეგმა არ არსებობს. ის გეგმა პირველივე დღეს ჩაუვარდათ და არავითარი გეგმა ბე და გეგმა ცე არ არსებობს.

***– თქვენ შარშანდელი ბათუმი ახსენეთ და, შესაძლოა, ეს საფრთხე განმეორდესო. მით უმეტეს რა გველის, როდესაც მეოთხე ტალღაზეა საუბარი?***

– ალბათ თვალყურს ადევნებთ და ხედავთ, რაც ხდება რუსეთში. იქ გაქანებული მეოთხე ტალღაა. ჩვენ თუ ისევ უკონტროლოდ შემოვუშვით რუსი ტურისტები, რუსეთში ნებისმიერი ცნობა იყიდება. ორჯერ ვაქცინირებულის ცნობასაც კი მშვენივრად გაჩვენებენ. მიკვირს, შარშან ჩაკეტილ ქვეყანაში ამდენი რუსული მანქანა როგორ შემოდიოდა. ვინ რა გააკეთა 2020-ში და რატომ იყო ამდენი რუსი ტურისტი? დღეს რუსეთში რეალური აფეთქებაა. საშინელება მოხდება, თუ ჩვენკენ ტურისტები დაიძვრებიან რუსეთიდან, სადაც საერთოდ არ არის ვაქცინაციის პროცესი და თანაც ცნობის ყიდვა შეიძლება...

***– ანუ მეოთხე ტალღა არ აგვცდება?***

– პირადად მე ჩავკეტავდი და ძალიან გავამკაცრებდი მაგათ შემოსვლას, რომ მეოთხე ტალღა არ მივიღოთ.

***– არის ჩვენი ხელისუფლება ამის გამკეთებელი?***

– ჩვენს ხელისუფლებაზე ძალიან ცუდი წარმოდგენა მაქვს. ფაქტობრივად წარმოდგენა საერთოდ აღარ მაქვს. თუ გვინდა რაიმე შედეგი, მაშინ უნდა შეიცვალოს სისტემა. ამ სისტემით არანაირი შედეგი არ გვექნება. წითელ ზონად დაასახელეს ჩვენი ქვეყანა, სადაც არ ურჩევენ ტურისტებს ჩამოსვლას. ამერიკა არ ურჩევს თავის მოქალაქეებს ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლას.

***– ანუ მივიღებთ მეოთხე და მეხუთე ტალღასაც?***

– ასეთ სიტუაციაში მივიღებთ, ხოლო თუ კარგად ვიმუშავებთ, ავცდებით. გააკეთებინონ საქმე იმ ხალხს, ვინც ეს კარგად იცის. სხვა შემთხვევაში საშველი არ იქნება.

# „ოპოზიციამ მიშელის დოკუმენტზე ხელმოწერის დროს შეცდომა დაუშვა“

## ლევან ალაფიშვილი: „თუ ხელისუფლება ნაკისრ ვალდებულებას არ შეასრულებს, ეს ქვეყანას სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის და სანქციები არ დააxანებს“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ლევან, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ მოსამართლეების დანიშვნის პროცესს არ შეაჩერებენ, რადგან კონსტიტუციას ვერ დაარღვევენ. მამუკა ხაზარაძემ კი ოპოზიციას მოუწოდა, რომ თუ პროცესი გაგრძელდება, პარლამენტი დატოვონ. როგორ შეიძლება, განვითარდეს მოვლენები?***

– კონსტიტუცია ბევრჯერ დაურღვევია მმართველ პოლიტიკურ ძალას. საკონსტიტუციო სასამართლო ვადებზე, როდის უნდა დანიშნონ მოსამართლეები, არაფერს ამბობს. ამდენად, ეს ყველაფერი ხალხისა და ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მოტყუების გულუბრყვილო მცდელობაა. თითქოს ცდილობენ დაამტკიცონ, კანონის უზენაესობის როგორი აპოლოგეტები არიან.

რაც შეეხება ოპოზიციას, ოპოზიციამ მიშელის დოკუმენტზე ხელმოწერის დროს შეცდომა დაუშვა. მათ შეეძლოთ, საკუთარ მხარდამჭერებთან, ამომრჩევლებთან კონსულტაცია გაევლოთ თუნდაც ამნისტიის ნაწილში და ისე მოეწერათ ხელი დოკუმენტისთვის.

ამიტომ, არ გამიკვირდება, თუ ოპოზიცია ამ ზიანის გამოსწორებას შეეცდება და პოზიციების გაუმჯობესებისთვის იბრძოლებს, თუნდაც ამომრჩევლის თვალში, მით უფრო იმ ფონზე, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში აკეთებს ასეთ მწვავე განცხადებას მოსამართლეების საკითხთან დაკავშირებით. ასევე, სახელმწიფო დეპარტამენტი, ევროპა მოუწოდებს „ქართულ ოცნებას“, შარლ მიშელის დოკუმენტის ერთგული დარჩეს. ცხადია, ოპოზიციას ეს მოცემულობა ნოყიერ ნიადაგს უქმნის პოლიტიკური ქულების დაწერისთვის.

***– შეიძლება, მართლაც წავიდეს ამაზე ოპოზიცია?***



– ვერ გეტყვით. შეიძლება, ეს არის მათი მხრიდან დაშვებული შეცდომის შემდეგ რეაბილიტაციის მცდელობა. შეიძლება, პოლიტიკურ პოპულიზმადაც მონათლოს ვიღაცამ. არც უმაგისობა იქნება. ვიღაც იკითხავს: ერთი თვის წინ რომ შეხვედით, დღეს რომ გამოდიხართ, ეს რა თამაშია?! ან არ იცოდით, რომ „ქართული ოცნება“ არ შეიცვლებოდა?!

ერთი, რაც ცხადია, არის ის, რომ ხელისუფლებამ კიდევ ერთი შანსი მისცა ოპოზიციას და ახლა ოპოზიციის ვალია, ეს შანსი კარგად გამოიყენოს.

რაც შეეხება ხელისუფლებას, ხელისუფლება თუ ამ პროცესს გააგრძელებს, არათუ საკუთარ პარტიას, არამედ ქვეყნის სახელმწიფოებრიობასაც შეუქმნის სერიოზულ პრობლემას. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ასეთ გეოპოლიტიკურ გარემოში, როდესაც ლამის ყოველდღიურად იცვლება რეგიონში მოცემულობა, ამას დამატებული კოვიდპანდემია, განადგურებული ეკონომიკა, არა მგონია, „ქართული ოცნების“ მთავრობას ჯიუტ თხასავით მოქცევის შესაძლებლობა ჰქონდეს. ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს, რომ მას არ აქვს რესურსი, ასეთი პრინციპული წინააღმდეგობა გაუწიოს დემოკრატიულ პროცესს, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების მოთხოვნას, რომ ხელისუფლების განაწილება და პოლიტიკურად ნეიტრალური სასამართლო არის ერთადერთი სწორი გზა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლება შეიძლება ძალიან მძიმე არჩევანის წინაშე აღმოჩნდეს.

***– თუ ასეა, რის ფასად აკეთებს ამას? არჩევნებთან შეიძლება ბმაში იყოს, რომ მოასწროს დანიშვნა?***

– არა მგონია. საკმარისად ჰყავს „ქართულ ოცნებას“ ისეთი მოსამართლეები ყველა დონეზე, რომლებიც ხელისუფლების ნებისმიერ დაკვეთას შეასრულებენ, ასევე – საარჩევნო ადმინისტრაციაც. ასე რომ, მოსწრების თვალსაზრისით, არა მგონია, ეს იყოს მიზეზი.

არსებობს ვალდებულება მიშელის დოკუმენტის სახით, რომელიც აღებული აქვს, ერთი მხრივ, ხელისუფლებას და, მეორე მხრივ, ოპოზიციას. თუკი ხელისუფლება არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და გაემიჯნება დემოკრატიულ პროცესს, ეს შეუქმნის ქვეყანას სერიოზულ საფრთხეს და სანქციები არ დააxანებს. ეს კარგად უნდა გააცნობიეროს „ქართულმა ოცნებამ“.

არ გამოვრიცხავ, რომ მათ უნდათ გაქცევა იმ ნაკისრი ვალდებულებებისგან, რომლებსაც მიშელის დოკუმენტი ითვალისწინებს. მიშელის დოკუმენტის მთავარი არსი არის სახელმწიფოს დემოკრატიულ რელსებზე გადაყვანა, იმ პროცესის შეჩერება, რომელშიც ახლა ვართ და მის გამოსწორებაზე ერთად ზრუნვა ხელისუფლების, ოპოზიციისა და საზოგადოების ჩართულობით. ეს არის მიშელის დოკუმენტის მთავარი სულისკვეთება და არა ის, რომ მოასწრონ, თუკი რაიმე მოსასწრები აქვთ. ეს არ წერია მიშელის დოკუმენტში. არც ის წერია, რომ ოპოზიცია ნომინალური ფუნქციის მატარებელი უნდა იყოს პარლამენტში. ერთად, დებატებით, მსჯელობითა და შეჯერებით, შეთანხმებით უნდა შეიქმნას ამ ქვეყნისთვის, ამ საზოგადოებისთვის უკეთესი მომავალი.

## აუდიტმა გამყრელიძის უწყებაში ასტრაზენეკას 2.500 დოზა იპოვა




ასტრაზენეკას დაკარგული ვაქცინები ნაპოვნია. „მთავარი არხის“ ინფორმაციით, პრეპარატი, რომლის გაუჩინარებასაც დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა, დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა დაკარგა.

ვაქცინის განაწილება და მიწოდება სწორედ გამყრელიძის უწყების კომპეტენციაა, თუმცა პოლიტიკური პასუხისმგებლობა ჯანდაცვის სამინისტროს ეკისრება.

მინისტრ ტიკარაძის განკარგულებით, სკანდალის შემდეგ აუდიტის სამსახურმა დაავადებათა კონტროლის ცენტრის შემოწმება დაიწყო.

ასტრაზენეკას 2.500 დოზა მაკონტროლებელმა ორგანომ მუშაობის პირველივე დღეს აღმოაჩინა.

დაკარგულ და შემდეგ ნაპოვნ ვაქცინებზე სპეციალურ განცხადებას დღეს საგანგებო ბრიფინგზე გააკეთებენ.



შევიძენ
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

# „ოცნება“ სასამართლო სისტემის მძევალია“

## გია ხუხაშვილი: „ოპოზიციის გაბუტვამ ტვინი წაიღო... ამომრჩეველს დამარცხებული, კუდამოძუებული და ქუჩაში გაქცეული ოპოზიცია კი არ უნდა“

იაგო ნაცვლიშვილი

**შარლ მიშელის დოკუმენტზე შეთანხმების მიუხედავად, „ქართული ოცნება“ პირობებს არღვევს. სასამართლომ უკვე განაახლა ხაზარაძე-ჯაფარიძის საქმე და არც მოსამართლეების უვადო დანიშვნას აჩერებს, თანაც ამას აკეთებს იმ ფონზე, როდესაც მმართველ გუნდს წერილით მიმართავენ ამერიკისა და ევროკავშირის ელჩები და პროცესის შეჩერებას ითხოვენ. ეს ხდება იმის გათვალისწინებითაც, როდესაც პოლიტიკური კრიზისის დროს დასავლეთისთვის ყველაზე საგანგაშო სწორედ პოლიტიკური მართლმსაჯულება იყო.**
**როგორ უნდა გავიგოთ „ქართული ოცნების“ ნაბიჯები და რამდენად ადეკვატურია ოპოზიციაში გაკეთებული განცხადებები, რომ მოსამართლეთა უვადო დანიშვნის შემთხვევაში ისინი პარლამენტს დატოვებენ? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი საუბრობს.**

***— განაახლეს ხაზარაძე-ჯაფარიძის საქმე. რას ნიშნავს ეს ყველაფერი?***

— მე ამაში ლოგიკას ვერ ვხედავ, იმიტომ რომ, რა ამოცანაც ჰქონდათ თავის დროზე ამ საქმეზე გამოძიების წამოწყებით, გასაგებია. ის ამოცანა შეასრულეს და დაიხურა. ისიც გასაგებია, რომ ამ საქმეს არ აქვს სამართლებრივი პერსპექტივა. რაში სჭირდებათ და, უბრალოდ, ზნეს ვერ იცვლიან. სულ უნდათ, რომ მუდმივად წყალი ამღვრიონ და მერე იქ თევზი დაიჭირონ, ივაჭრონ, იმამაძაღლონ და იმაიმუნონ. სულ ამის სურვილი აქვთ. ამაში სხვა ლოგიკას ვერ ვხედავ, იმიტომ, რომ ფულის გათეთრებაზე საუბარი ამ საქმესთან დაკავშირებით სრული აბსურდია. შესაძლოა, იყოს გარკვეული კითხვები, იმავე საგადასახადო ან თვალთმაქცური გარიგების ნაწილში, მაგრამ ხელისუფლების პრობლემა ის არის, რომ ამ ორივე შემთხვევაში უკვე ხანდაზმულობის ვადაა გასული. შესაბამისად, საქმის წარმოებას



ვერ დაიწყებენ, იქიდან გამომდინარე, რომ ფულის გათეთრების მუხლს ბევრად უფრო დიდი ხანდაზმულობის ვადა აქვს. ამიტომ დაიწყეს სისულელეების კეთება.

***— მეორე მხრივ, ვხედავთ იმასაც, რომ არც მოსამართლეების დანიშვნას აჩერებენ. ასე დავსვამ კითხვას: ხანდაზმულობის ვადა გაუვიდა შარლ მიშელის დოკუმენტს და ამიტომ ირღვევა შეთანხმების პუნქტები?***

— ხანდაზმულობის ვადაზე არ არის. ისინი თვლიან ასე. თავისი რაღაცა უცნაური ლოგიკით მიდიან. უკვე მძევლები არიან. შესაძლოა, უნდათ კიდეც, რომ კარგი ბიჭები გახდნენ და ყველაფერი კარგად აკეთონ, მაგრამ მძევლები არიან. როდესაც შენ მართლმსაჯულების სისტემაში ასეთ ხალხთან ხელს აწერ კონტრაქტს, მათ იყენებ რაღაცაში, პოლიტიკური ვერდიქტების გამოტანაში ან რაღაცაში, მერე ვალდებულება გიჩნდება. გეტყვის, რასაც მთხოვდი, ყველაფერს გიკეთებდი და ახლა დანიშვნაც აღარ გინდაო? ანუ ვითარების მძევლები არიან.

***— ვითარების თუ კონკრეტული ადამიანების, სახელად მურუსიძე-ჩინჩალაძის?***

— რა მნიშვნელობა აქვს? სისტემის მძევლები არიან.

***— ამ ვითარებაში რა არის გამოსავალი, თან იმ ფონზე, როდესაც ამერიკისა და ევროკავშირის ელჩები წერილით მიმართავენ ხელისუფლებას?***

— გამოსავალია ხელისუფლების სისტემური განახლება. სხვა გამოსავალი არ არსებობს. მე არ ვამბობ, რომ „ქართული ოცნება“ უნდა წავიდეს და ვიღაც სხვა მოვიდეს. ჩვენ გვჭირდება სისტემური განახლება, გვჭირდება ხელისუფლება, რომელიც გააკეთებს იმას, რაც სჭირდება სახელმწიფოს, რომელსაც არ ექნება ვალდებულება არც ერთ ინტერესჯგუფთან. აი, ასეთი ხელისუფალი გვჭირდება.

***— „ოცნების“ პირობებში ამ რესურსს ხედავთ?***

— სამწუხაროდ, დღევანდელი ხელისუფლება უკვე სისტემის მძევალია. სურვილის შემთხვევაშიც კი ვერ გააკეთებს და რა აზრი აქვს, ადამიანს მოსთხოვო ის, რის გაკეთებაც მას არ შეუძლია.

***— ამ ფონზე ვითარება როგორ წარმოგიდგენიათ, როდესაც ამერიკისა და ევროკავშირის ელჩები მიმართავენ ხელისუფლებას, რომ შეაჩერონ მოსამართლეთა დანიშვნები?***

— ვერ აჩერებენ. შეიძლება, უნდათ კიდეც ანგარიშის გაწევა, მაგრამ ვერ უწევენ, იმიტომ, რომ აქეთაც ვალდებულება აქვთ და ისინი თავისას ითხოვენ. ახლა ცდილობენ, მოდი, ამ საქმის განხილვა დავიწყოთო და ვიღაცის... ათას სიგიჟეს ფიქრობენ. რა ვიცი, აბა, რა გითხრათ.

***— ისევ უნდა ველოდოთ დასავლეთიდან წერილებს, „ოცნების“ კრიტიკის ქარცეცხლში გახვევას?***

— ყველაფერს უნდა ველოდოთ. არ ვიცი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში რა კრიტიკის ქარცეცხლი იქნება, მაგრამ, გასაგებია, რომ პრობლემაა. დასავლეთი იმას კი არ გეუბნება, რასაც არ გეუბნები, ის გააკეთეო. დასავლეთი გეუბნება, ჩემი პირობები უნდა მიიღოო. წარმოიდგინეთ, რომ გაქვთ სახლი და გყავთ მეგობარი, რომელსაც უნდა დროებით თქვენთან ცხოვრება. თქვენ გაქვთ ასეთი წესები, რომ სახლში სიგარეტს არ ეწევიან, მაგიდაზე არ ცეკვავენ, ნარკოტიკებით არ ვაჭრობენ, მაგრამ ის გეუბნებათ, შენთან ვიცხოვრებ და მინდა, სიგარეტს მოვწევ, მინდა, მაგიდაზე ვირბენ და, რასაც მინდა, იმას გავაკეთებო. დაახლოებით ასე იქცევა ჩვენი ხელისუფალი. თქვენ ხომ აღარ შემოუშვებთ და ეტყვით, დიდი ბოდიში, მაგრამ ოჯახს არ აგარევინებო. დაახლოებით ამ ვითარებაშია. ისინი გვეუბნებიან, თუ ჩვენთან გინდათ, ჩვენთან ეს წესებია და, თუ დაიცავთ ამ წესებს, მაშინ, კი ბატონო, მოდითო, მაგრამ, არ იცავ ამ წესებს? — იყავი შენთვის.

***— გუშინ უკვე გაისმა საპარლამენტო ოპოზიციისგან, რომ, თუ მოსამართლეებს აირჩევენ, შესაძლოა, პარლამენტი დატოვონ. ამაზე რა კომენტარს გააკეთებთ?***

— ამათმა მისვლა-მოსვლამ ხომ ცალკე შეჭამა ტვინი. რა შუაშია? ახლა ვითომ ამერიკის ელჩს ეპრანჭებიან თუ რა ხდება?! უნდა იბრძოლონ. პარლამენტში იმისთვის კი არ სხედან, რომ გაიბუტონ და წინ და უკან ირბინონ. პარლამენტში იმისთვის არიან, რომ იბრძოლონ.

***— როგორ უნდა იბრძოლონ მაშინ, როცა უმრავლესობა „ოცნების“ ხელშია და გადაწყვეტილებებს ვერ ჩააგდებენ?***

— დაიკავონ ტრიბუნა და არ მიუშვან. ბრძოლის ათასნაირი მეთოდი არსებობს. თვითონ თუ არ იციან, ტელევიზორში მაინც არ უნახავთ?!

***— მოსამართლეები არ მიუშვან მოსმენაზე თუ რას გულისხმობთ?***

— მოსამართლეების მიშვებას არ ვგულისხმობ. ჩაშალონ საერთოდ მოსმენები, მოაწყონ ობსტრუქცია, იბრძოლონ და დაგვანახონ, გამოუვათ თუ არა. იბრძოლონ! იცით რა, თუ ასე იქნება, გავიბუტებით და წავალთ... კარგი რა... ამომრჩეველს დამარცხებული, კუდამოძუებული და ქუჩაში გაქცეული ოპოზიცია კი არ უნდა, არამედ უნდა, მებრძოლი დაინახოს მასში, რომელიც ყველა საშუალებას იყენებს და ბოლომდე იბრძვის.

# „ოცნებას“ ნაცმოძრაობის აქტივისტებისა ეშინია“

## გიგლა ბარამიძე: „საპატრიარქოს ნინოწმინდის პანსიონზე კრუნჩხვა მოსდით იმ დროს, როცა ბათუმში მუეძინის ხმით თენდება და ბინდდება“

მარიამ მჭედლიშვილი

**ოპონენტებმა მიიჩნიეს, რომ კოვიდშეზღუდვების შემსუბუქებით ხელისუფლება საარჩევნოდ ქულებს იწერს. რა ხდება ამ სფეროში? კიდევ სად ჩანს ხელისუფლების უპრინციპობა? რა გახდა თბილისში ლგბტ-პრაიდის გამართვის საფუძველი? რატომ არ არიან გულწრფელები „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, რომლებიც ამ ღონისძიებას ეწინააღმდეგებიან? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პოლიტიკოსსა და დიპლომატს გიგლა ბარამიძეს.**

***— ოპონენტები აცხადებენ, რომ კოვიდშეზღუდვების შემსუბუქებით ხელისუფლება საარჩევნოდ ქულებს იწერს. ეს წარმოუდგენლად გამოიყურება იმ დროს, როცა ხელისუფლება თავს ვერ ართმევს ვაქცინაციას და არსებობს უამრავი ძველი და ახალი პრობლემა. მხოლოდ რეგულაციების მოხსნით შესაძლებელია ნდობის მოპოვება?***

— რასაკვირველია, არა. ამით ნდობის მოპოვება გაუჭირდებათ. ოპონენტი მეც ვარ. არიან ჩემნაირი ოპონენტებიც, მაგრამ იმ ვაიოპოზიციას, რომელმაც გადააგდო საკუთარი მომხრეები, ამ საკითხზე ხმის ამოღების უფლება არა აქვს. ის ოპოზიცია, რომლის გამოც მომხრეები ავდარსა და სიცივეში გარეთ იდგნენ და მის მოთხოვნებს ამაგრებდნენ, დღეს თბილად და ტკბილად მოკალათდა პარლამენტში. მან დაკარგა მორალური უფლება, აკრიტიკოს სხვები. მისთვის ეს პარლამენტი აღარ არის არალეგიტიმური. ეს ოპოზიცია კი არა, ბიზნესჯგუფია. ზოგადად, რეგულაციები ხან მკაცრდება და ხან მსუბუქდება. საქმე ისაა, რომ ხელისუფლება განმარტებებს არ იძლევა. გამაგებინონ, თუ ერთი დღის წინ პირბადის გარეშე გამოსვლის გამო მაჯარიმებდნენ, ახლა რა მოხდა, რომ პირბადის საჭიროება მოიხსნა?! მიყვარს თბილისის ქუჩებში ფეხით სიარული. იმ დღესაც, როცა გარესივრცეში პირბადეებით სიარულის ვალდებულება გაუქმდა, ბევრი ადამიანი ისევ ნიღბით დადიოდა.

***— ალბათ, ინფორმაცია არ ჰქონდათ მოსმენილი.***

— არა. ამ ადამიანებმაც ვერ გაიგეს, რა გარდატეხა მოხდა, ვერ მიხვდნენ, უცებ რატომ უნდა მოიხსნან პირბადე. ეს ჩვენი სახელოვანი ექიმებიც გვაოცებენ. მაგალითად, პაატა იმნაძემ რატომღაც ნიშნის მოგებით პირბადეების მავნებლობაზე მიგვანიშნა. ადრე კუბოებით გვაშინებდა, ნიღბის ტარებას გვთხოვდა, ახლა, თურმე, პირბადე მიკრობების ბუდე გამხდარა. ამით პირი მოსწმინდა ამ გადაწყვეტილებას. იმნაძე ლუგარის ლაბორატორიაში მუშაობს და ნიშნის მოგებას, ალბათ, ვერ გაუბედავს თავის ამერიკელ სპონსორებს, რომლებიც მას კარგ ხელფასს უხდიან. ქართველები კანონმორჩილი ხალხი ვართ.

***— ბევრი პირიქით თვლის.***

— ის, ვინც ამბობს, რომ კანონს არ ემორჩილება, უბრალოდ, ტრაბახობს. ეს მითი უნდა დავამსხვრიოთ. ჩვენ კანონმორჩილები ვართ. ფრანგებივით ხელისუფლებას ყველაფერს თავზე არ და ვერ ვამხობთ. ამ კანონმორჩილ მოსახლეობას რომ ეუბნები, ინდური შტამი აჭარიდან გავრცელდებაო, მერე კი ნიღაბს ახსნევინებ, ხომ უნდა აუხსნა, რატომ აკეთებ ამას?! სტატისტიკა მაინც არ უნდა გამოაცხადო? ვაქცინაცია ვერ ტარდება.

***— თქვენ, როგორც მახსოვს, პირველი ეტაპის აცრაც ვერ ჩაიტარეთ.***

— დიახ. მითხრეს, რომ წამალი გაუთავდათ.

***— ამ დღეებში მეორე ეტაპზე მისული ჯავშნის მქონე მოქალაქეები გამოაბრუნეს.***

— ასეთი რამ მსოფლიოში არ ხდება. ყველგან სახელმწიფო ეხვეწება და მოუწოდებს (ზოგან ემუქრება) მოქალაქეებს იმუნიზაციისკენ. ლამის ფეხები დაბანონ ხალხს. ჩვენთან პირიქითაა – საზოგადოება მოითხოვს აცრებს, აკეთებს ჯავშანს, მაგრამ – უშედეგოდ. ჯანდაცვის მინისტრი ხალხს გაურბის. აქ ჩანს ხელისუფლების უპრინციპობა. ხელისუფლების უპრინციპობის კიდევ ორ მაგალითს მოვიყვან, ოღონდ, ეს არ არის დაკავშირებული ჯანდაცვასთან. პარლამენტთან გამოკიდებულია ძებნილი და ბრალდებული პირის უზარმაზარი პლაკატი.

***— სააკაშვილს გულისხმობთ/***

— რასაკვირველია. ამის გარდა, უპრინციპობად და სალახანობად მიმაჩნია „ქართული ოცნების“ ლიდერების დამოკიდებულება „მთავარი არხის“, სხვა სიტყვებით, გაბუნია-ბოკერია-გახარიას ტელევიზიის მიმართ. „ოცნების“ ლიდერები გუგულებივით სხედან იმ ტელევიზიაში, რომელსაც ცოტა ხნის წინ ტუალეტს ეძახდნენ. მაშინ რას ერჩოდნენ ნინო ბურჯანაძესა და გუბაზ სანიკიძეს, რომელსაც აქილიკებდნენ ამ ტელევიზიაში სტუმრობის გამო?! არავის ვექომაგები. ფაქტები მომყავს.



**„ოცნების“ ლიდერები გუგულებივით სხედან იმ ტელევიზიაში, რომელსაც ცოტა ხნის წინ ტუალეტს ეძახდნენ“**

***— იქნებ, ამის მიზეზი რეიტინგის გაზრდის სურვილია?***

— ეგენი არჩევნებიდან არჩევნებამდე ცხოვრობენ და რეიტინგის გარდა არაფერი აღელვებთ. ხბოს თვალების ფახულით სხედან არხზე, რომელიც ცოტა ხნის წინ ტუალეტი იყო და მშვიდად უყურებენ ძებნილი სააკაშვილის პლაკატს ქალაქის ცენტრში. დარწმუნებული ვარ, ნაცმოძრაობის აქტივისტებისა ეშინიათ, არ უნდათ, აუტკივარი თავი აიტკიონ. ხელისუფლება მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეებში ერევა? სხვაგან ხელისუფლება არ იგრძნობა?!

***— რას გულისხმობთ?***

— ბათუმი საქართველოს მესამე ქალაქია, სადაც გამუდმებით ისმის მუეძინების გამაყრუებელი ხმები. იქნებ არ არის ადამიანი მუსლიმანი, იქნებ მართლმადიდებელი ან ათეისტია. მართლმადიდებელ ტაძრებში რომ წირვალოცვა ტარდება, ვინმეს აწუხებენ?! საპატრიარქოს ნინოწმინდის პანსიონზე კრუნჩხვა მოსდით იმ დროს, როცა ბათუმში მუეძინის ხმით თენდება და ბინდდება.

***— სააკაშვილის პლაკატი რატომ გიკვირთ იმ დროს, როცა ბევრჯერ გითქვამთ, რომ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ერთმანეთს ასაზრდოებენ?***

— ეგენი ისევ ერთმანეთით სულდგმულობენ. ნახეთ, რაზე კინკლაობენ — ვინ დაიწყო 2008 წლის ომი. ისევ იქ არიან ჩარჩენილები და წინ ვერ მიდიან. აგერ, ახლახან გადაიტანეს ომი აზერბაიჯანმა და სომხეთმა. აზერბაიჯანში უკვე ევროპის ჩემპიონატები ტარდება, სომხეთმა კი შესანიშნავი არჩევნები ჩაატარა. ჩვენი პოლიტელიტა ისევ იმაზე დავობს, ვინ დაიწყო ომი. ის ავიწყდებათ, რომ მთავარია, ვინ მოიგო ომი. გრძელდება მოსახლეობის გამოლაყების პროცესი. ხალხის გამოშტერება უკვე 20 წელიწადია, მიმდინარეობს. თემები უცვლელია. მათ ემატება გეიაღლუმი. საქართველოში ჩამოსული ელჩები, დიპლომატების გარდა, ხდებიან ზედამხედველები და გენერალ-გუბერნატორები. აშშ-ისა და ევროკავშირის ელჩების გარდა, ასეთი ფუნქცია შეითავსა ასევე თურქეთის ელჩმა, რომელიც გვასწავლის, როგორ უნდა ჩავატაროთ ეროვნული დღესასწაულები.

***— საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერები და წევრები აცხადებენ, რომ ლგბტ-აღლუმი არ უნდა გაიმართოს.***

— ეს არის თვალთმაქცობა. მშვენივრად უწყიან, რომ ასეთი აღლუმებისა და მარშების საფუძველია ანტიდისკრიმინაციული კანონი. ის მიღებულია ამ ხელისუფლების დროს, სხვა მოწვევის პარლამენტის მიერ. „ოცნებამ“ არ შეისმინა უწმინდესისა და უნეტარესის სამგზის მოწოდება და მაინც მიიღო ეს კანონი. პატრიარქი აფრთხილებდა, რომ ამ კანონს მოჰყვებოდა სხვა ქმედებები. როცა სჭირდებათ, ჩემსიმაღლე სანთლებს იკავებენ ხელში და ეკლესიებში დგანან. ისე, პატრიარქს არ უჯერებენ. ჩვენთან უმცირესობებს არ დევნიან. როცა ლგბტ-ღონისძიება ტარდება, იქ ამ თემის წარმომადგენელი 0,9%-ია. დანარჩენები არიან არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ამ თემის წამოწევაში ფულს იღებენ. პრაიდი ლომებისთვისაა დამახასიათებელი, აღლუმები — ჯარის ან გამარჯვებული მხარისათვის. არ მესმის, რატომ უნდა გაიმართოს ლგბტ-აღლუმი. ამ თემს ბარებში, ქუჩებსა და სხვა ადგილებში შეკრებას არავინ უშლის.

# „ქართული ოცნება“ მოსამართლეების დანიშვნის პროცესს არ შეაჩერებს

„ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის პროცესი არ შეჩერდება.

როგორც პარტიის პოლიტსაბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ განაცხადა, შესაბამისად, პარლამენტი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს მოუსმენს და მათი გამწესების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს.

კობახიძის შეფასებით, გაუგებარია განცხადებები, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების წარდგენა და არჩევა შარლ მიშელის შეთანხმების სულისკვეთებას ეწინააღმდეგება, რადგან „შეთანხმების სულისკვეთებად ვერ განიმარტება ის, რაც მისივე ტექსტს პირდაპირ ეწინააღმდეგება“.

– ჩვენთვის გაუგებარია ცალკეული პოლიტიკოსების განცხადებები, თითქოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების წარდგენა და არჩევა პოლიტიკური შეთანხმების სულისკვეთებასთან მოდის წინააღმდეგობაში. შეთანხმების სულისკვეთებად ვერ განიმარტება ის, რაც მისივე ტექსტს პირდაპირ ეწინააღმდეგება. აღნიშნული გარემოება პარლამენტს აკისრებს ვალდებულებას, იმოქმედოს საქართველოს კონსტიტუციითა და საპარლამენტო სუვერენიტეტის პრინციპის შესაბამისად მოუსმინოს და კენჭი უყაროს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატებს.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი ადგენს კანდიდატების კომპეტენციისა და კეთილსინდისიერების გადამოწმების უპრეცედენტოდ გამჭვირვალე პროცედურას. სწორედ ამ პროცედურის მიხედვით საქართველოს პარლამენტი მოუსმენს თითოეულ კანდიდატს და მიიღებს გადაწყვეტილებას მათი გამწესების შესახებ, – განაცხადა კობახიძემ.

მისივე თქმით, „ქართული ოცნება“ შარლ მიშელის შეთანხმების ერთგულია.

– მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო პარტნიორების მოწოდებების წინააღმდეგ 8-დან 4 ბარიერგადალახულ ოპოზიციურ პარტიას ანუ ოპოზიციონერი პარლამენტარების ნახევარზე მეტს პოლიტიკურ შეთანხმებაზე ხელი არ მოუწერია, „ქართული ოცნება“ არის და დარჩება შეთანხმების ერთგული და უზრუნველყოფს მის ჯეროვნად განხორციელებას. როგორ ხედავთ, „ქართული ოცნება“ ბოლომდე იცავს შეთანხმებას და გააგრძელებს ამ სულისკვეთებით და პრინციპით მოქმედებას, – განაცხადა კობახიძემ.

# კარლ ჰარცელი: „იმედია, მოსამართლეების დანიშვნის პროცესთან დაკავშირებით დაჩქარება არ იქნება“



– იმედი მაქვს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის პროცესთან დაკავშირებით დაჩქარება არ იქნება, იმიტომ, რომ ეს ცუდი სტარტი იქნება 19 აპრილის შეთანხმების ამ ძალიან მნიშვნელოვანი თავისთვის.

ამის შესახებ საქართველოში ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც მან აღნიშნა, მნიშვნელოვანია სასამართლოს რეფორმა, კანონის უზენაესობისადმი ნდობის გაზრდა და დანერგვა. ელჩის განმარტებით, ეს არის ის, რასაც ევროკავშირი მრავალი წელია მხარს უჭერს.

– მე, ჩემს კოლეგებთან ერთად აშშ-დან და ევროპის საბჭოდან, უკვე გამოვთქვით პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ამ კანდიდატებთან მიმართებით არ უნდა აჩქარდნენ. ასევე, გაითვალისწინონ კანონი, ასევე ვენეციის კომისიის რჩევები და დასკვნები და შემდეგ დააკვირდნენ პროცესს და დარწმუნდნენ, რომ არსებობს თანასწორი მიდგომა ყველა კანდიდატის მიმართ და ჩვენ ამ მყარ პოზიციაზე ვრჩებით.

მე იმედი მაქვს, რომ ამ საკითხის განხილვა მოხდება პარლამენტში. ჩვენ ამას 19 აპრილის შეთანხმების პერსპექტივიდან დავაკვირდებით, ისევე როგორც იმ პირობებიდან, რომელსაც ევროკავშირის მიკროფინანსური დახმარება ითვალისწინებს, ევროკავშირ-საქართველოს ასოცირებული შეთანხმებით აღებული ვალდებულებების პერსპექტივიდან. იმედი გვაქვს, პროცესის დაჩქარება არ მოხდება, ვინაიდან ეს 19 აპრილის შეთანხმების ძალიან მნიშვნელოვანი თავი ცუდ დასაწყისს შექმნის, – განაცხადა ელჩმა.

# გომელაური: „ბადრი ესებუა საქართველოშია და მის დაკავებაზე ვმუშაობთ“



შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურის განცხადებით, „საქართველოს ბანკზე“ თავდასხმაში ბრალდებული ბადრი ესებუას დაკავება უწყებისთვის ღირსების საკითხია. როგორც მან ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, შსს-ს ოპერატიული ინფორმაციით, ბადრი ესებუა საქართველოში იმყოფება და უწყება მის დასაკავებლად მუშაობს.

– რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი თემაა, მითუმეტეს, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ღირსების თემაა, პირდაპირ გეტყვით, ასეთი რამ დიდი ხანია არ მომხდარა. ვმუშაობთ, იყო რაღაც თემები, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ეს დღეს და ხვალ მოხდება. ეს სახუმარო თემა ნამდვილად არ არის. ამდენი ადამიანი მძევლად ჰყავდა აყვანილი. ვისაც უნდა ამ ადამიანის დაკავება და პასუხისგებაში მიცემა, ეს არის შსს. შეიძლება, ხალხს ჰგონია, რომ ჩვენ არ გვინდა, ხელს ვუწყობთ ან ვმალავთ. ვმუშაობთ ამ თემაზე. ჩვენი ოპერატიული ინფორმაციით, საქართველოში იმყოფება. იმედია, სწორი ინფორმაციაა და ამ წყაროს ვეყრდნობით, – განაცხადა გომელაურმა.

შეგახსენებთ, ზუგდიდში „საქართველოს ბანკის“ ფილიალზე თავდასხმა ბადრი ესებუამ გასული წლის 25 ოქტომბერს განახორციელა. აღნიშნულ საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე, 323-ე და 329-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ტერორისტულ აქტს, მძევლად ხელში ჩაგდებას ტერორისტული მიზნით და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

# 9 წლის გოგონას მიმართ გარყვნილი ქმედებისთვის რ.ყ-ს 15 წელი მიესაჯა

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილ გარყვნილ ქმედებასა და სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებაში ბრალდებულს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილ გარყვნილ ქმედებასა და სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებაში ბრალდებული რ.ყ. დამნაშავედ ცნო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, ბრალდების მხარის მიერ სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2020 წლის 17 სექტემბრიდან 9 ოქტომბრის ჩათვლით რ.ყ. 9 წლის გოგონას მიმართ გარყვნილი ქმედებას და სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებას ახორციელებდა.

სამართალდამცავებმა რ.ყ. 2020 წლის 12 ოქტომბერს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით (გარყვნილი ქმედება დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ) და 138-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

სასამართლომ რ.ყ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად, 15 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# ხაზარაძე-ჯაფარიძე-წერეთელი სასამართლოში დაიბარეს

წინასაარჩევნოდ გაცოცხლებული კიდევ ერთი პოლიტიკური სასამართლო პროცესი – თითქმის 18– თვიანი პაუზის შემდეგ პარტია „ლელო საქართველოსთვის“ დამფუძნებლები ე.წ. ფულის გათეთრების საქმეზე ისევ სასამართლოში დაიბარეს.

პროცესის გააქტიურება კი დროში ემთხვევა როგორც თვითმმართველობის არჩევნებისთვის სამზადისის დაწყებას, ასევე პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებლის ვაშინგტონში ვიზიტს. პროცესი 2 ივლისს უკვე ჩაინიშნა საქალაქო სასამართლოში.

– მე კიდევ ერთხელ ვადასტურებ, არავითარ შემთხვევაში არავითარი იმუნიტეტით არ ვისარგებლებ და როგორც კი მე ეს განცხადება გუშინ გავაკეთე, მოხდა სასამართლოს ჩანიშვნა. შეიძლება ეს დამთხვევაა, შეიძლება ეს არის სპეციალურად გაკეთებული, ამას არ აქვს მნიშვნელობა, მნიშვნელობა აქვს, რომ ეს პოლიტიზებული, ერთი კაცის მართული სასამართლო და პროკურატურა უნდა დასრულდეს! ვერ ეღირსებიან, ვერ ეღირსება ერთი კაცი და მისი უკანონო გადაწყვეტილებების აღმსრულებლები, რომ რაიმე მეთოდით უკან დავიხიოთ რამეზე, – ამბობს მამუკა ხაზარაძე.

# ბუღალტერმა საწარმოს ქვემო ქართლში 3 მილიონზე მეტი მოჰპარა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისა და ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის თანამშრომლებმა, ერთობლივად გატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქვემო ქართლის რეგიონში რეგისტრირებული ერთ-ერთი საწარმოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მითვისების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, საწარმოსთვის საბუღალტრო-აუდიტორული მომსახურების გაწევისას, სისტემატიურად ახორციელებდა საწარმოს ანგარიშიდან თანხის გადარიცხვას მისივე და მასთან დაკავშირებული პირების საბანკო ანგარიშებზე, რის შედეგადაც, 2014-2020 წლების პერიოდში მიითვისა საწარმოს კუთვნილი 3 მილიონ ლარზე მეტი თანხა.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 11 წლამდე ვადით.

გრძელდება შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები ბრალდებულთან შესაძლო დანაშაულებრივ კავშირში მყოფი სხვა პირების დადგენა-მხილების მიზნით.

# ხაზარაძე-ჯაფარიძე-წერეთლისთვის ბრალი საერთოდ უნდა მოეხსნათ

## ნინო ლომჯარიას განცხადება



– ჩვენი პოზიციაა ის, რომ ხაზარაძე-ჯაფარიძე-წერეთლისთვის ბრალი საერთოდ უნდა მოეხსნათ, რადგან წარდგენილი ქმედება, საერთაშორისო პრაქტიკითა და ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობითაც არ შეიცავს ფულის „გათეთრების“ დანაშაულის ნიშნებს.

ამის შესახებ სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ ჟურნალისტებთან განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, ამ საკითხზე მათ სასამართლოში „სასამართლო მეგობრის“ მოსაზრებაც წარდგენილი აქვთ.

– სახალხო დამცველს პირდაპირ აქვს ნათქვამი და ამაზე სასამართლოში წარდგენილი გვაქვს „სასამართლო მეგობრის“ მოსაზრება, რომ ჩვენ საერთოდ ვერ ვხედავთ, რომ ის ქმედება რასაც პროკურატურა ედავება აღნიშნულ პირებს, წარმოადგენდეს ფულის გათეთრების დანაშაულს. ამ მიმართულებით ჩვენ გვაქვს შესწავლილი საერთაშორისო პრაქტიკა, გაანალიზებული გვაქვს მათ შორის საქართველოს კანონმდებლობა და მიგვაჩნია, რომ წარდგენილი ქმედება და მტკიცებულებები არ ადასტურებს, რომ ჩადენილია ფულის გათეთრების დანაშაული. შესაბამისად, ჩვენ მივმართეთ სასამართლოს, რომ იმსჯელოს იმაზე, საერთოდ, რამდენად ადეკვატურია წარდგენილი ბრალი, – განაცხადა ლომჯარიამ.

# „მანქანები ლამის მაღაზიაში შეცვივდნენ“

## ავარია ლილოში

22 ივნისს, საღამოს, ავარია მოხდა ლილოში.

ერთმანეთს მსუბუქი ავტომობილები შეეჯახნენ. არიან დაშავებულები.

შემთხვევა ერთ-ერთ რესტორანთან მოხდა. თვითმხილველების თქმით, ავტომობილები ლამის მაღაზიაში შეცვივდნენ.

# ბათუმში მე-4 სართულის აივანი ჩაინგრა

ბათუმში საცხოვრებელი სახლის მეოთხე სართულის აივანი ჩამოინგრა. შემთხვევა ხიმშიაშვილის ქუჩაზე მოხდა, სადაც სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა. ნგრევის შედეგად 2 ადამიანი დაშავდა. ისინი ადგილზე დასაქმებული მუშები იყვნენ, რომლებიც სარემონტო სამუშაოებს ასრულებდნენ. ორივე მათგანი ბათუმში რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც კვლევები უტარდებათ. ერთ-ერთ მათგანს ტვინის შერყევა აქვს.

ფაქტზე გამოძიება სსკ 240-ე მუხლით მიმდინარეობს.

# ხობში 2 წლის ბავშვი წყალში დაიხრჩო

გუშინ, 23 ივნისს, უბედური შემთხვევა მოხდა ხობში – 2 წლის ბავშვი დიდი ზომის წყლით სავსე აუზში დაიხრჩო.

ერთ-ერთი ვერსიით, აუზში მას სათამაშო ჩაუვარდა. ოჯახის წევრებმა კი ის მოგვიანებით შეამჩნიეს, რის შემდეგაც ხობის საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

როგორც კლინიკაში განმარტავენ, ბავშვი საავადმყოფოში შეყვანისას უკვე გარდაცვლილი იყო.

# შინაგან საქმეთა მინისტრი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელსა და მეკავშირე ოფიცერს შეხვდა



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელ მარეკ შჩიგელთან და მეკავშირე ოფიცერ იაცეკ სტოხელთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე მხარეებმა რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე მცოცავი ოკუპაციის საკითხი განიხილეს. ყურადღება გამახვილდა საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ძალების უკანონო ქმედებებზე, მათ შორის ადამიანების გატაცებაზე, გენდერულ საკითხებსა და საქართველოს მოქალაქეების თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე.

შეხვედრის ფარგლებში ხაზი გაესვა ქართული მხარის მზაობას, დახმარება აღმოუჩინოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას (EUMM) მადლობა გადაუხადა განხორციელებული საქმიანობისთვის, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მტკიცე მხარდაჭერისთვის.

საერთაშორისო

## ზელენსკიმ გადაწყვეტილება მიიღო



უკრაინა ნატოს სამიტზე არ მიიწვიეს. პრეზიდენტ ზელენსკის მოწოდება, რომ მიეღოთ ქვეყანა ნატოში, დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. უკრაინაშიც რუსეთის გავლენის აგენტები გააქტიურდნენ. მათ ზელენსკის, არც მეტი, არც ნაკლები, მოსკოვის წინაშე კაპიტულაციისაკენ მოუწოდეს.

— დასავლეთმა ჩვენზე ხელი საბოლოოდ აიღო! დარჩა ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზა: პუტინთან საერთო ენის გამოძებნა, — განაცხადა უკრაინული არმიის გენერალმა მარტიროსიანმა.

პუტინთან ე.წ. საერთო ენის გამოძებნა მოსკოვის წინაშე კაპიტულაციას ნიშნავს. უკრაინელი ერი ამას არ დაუშვებს. თანახმად როზუმკოვის სახელობის ანალიტიკური ცენტრის მონაცემებისა, უკრაინელთა 70% ნატოში შესვლის მომხრეა. რუსეთს აგრესორად 82% მიიჩნევს. დონბასისათვის ავტონომიის (განსაკუთრებული სტატუსი) მინიჭების წინააღმდეგია 89%.

— პრეზიდენტს, რომელიც რუსეთის წინაშე კაპიტულაციას მოისურვებს, უბრალოდ, მისი რეზიდენციიდან გამოიტანენ, — განაცხადა ექსპერტმა დიმიტრი გორდონმა.

ზელენსკიმაც გადაწყვეტილება მიიღო. თავის უკანასკნელ ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ კურსი ნატოსაკენ შეუქცევადია და ის გაგრძელდება. ამავე დროს, მან ისიც ხაზგასმით თქვა, რომ უკრაინული სახელმწიფოებრიობა მხოლოდ უკრაინელებს სჭირდებათ და ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეთ.

## აშშ: „დაპატიმრებულია პირი, რომელიც ბაიდენს მოკვლით ემუქრებოდა“



აშშ-ში ვინმე ჯონ არენსი დააკავეს. ის მოითხოვდა, რომ მისთვის განსაზღვრული თანხა გადაეხადათ, წინააღმდეგ შემთხვევაში პრეზიდენტ ბაიდენისა და რამდენიმე კონგრესმენის მოკვლით იმუქრებოდა. არენსმა რამდენიმე ტელეკომპანიას ელფოსტით წერილი გაუგზავნა და თავისი მუქარა შეუთვალა.

პოლიციამ არენსი დააკავა.

## ბლინკენი გერმანიაში მიემგზავრება



აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ბლინკენი გერმანიაში მიემგზავრება. ის გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ მაასს შეხვდება. ამერიკელი დიპლომატი მონაწილეობას მიიღებს ლიბიის საკითხთან დაკავშირებულ კონფერენციაში.

## ბრიტანეთი და უკრაინა შავ ზღვაზე თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ

ბრიტანეთმა და უკრაინამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას შავ ზღვაზე თანამშრომლობის შესახებ. შეთანხმებაში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა თავდაცვის სფეროში თანამშრომლობაზე.

— ბრიტანეთთან შეთანხმებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს უკრაინის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გაძლიერებისათვის, — თქვა უკრაინის თავდაცვის მინისტრმა, გენერალმა ტარანმა.

## რუსეთი ბირთვული განიარაღების წინააღმდეგია



როგორც ცნობილია, აშშ ბირთვული განიარაღების პროგრამით გამოვიდა. რუსეთი მას არ დაეთანხმა.

— ამერიკელების გეგმას მხარს არ დავუჭერთ! — ამბობს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე რიაბკოვი.

რიაბკოვის აზრით, ბირთვული იარაღი დღეისათვის რუსეთის სამხედრო ძლიერების გარანტია და ამაზე უარის თქმა დაუშვებელია.

## ბელორუსული ავიაკომპანიების წინააღმდეგ მიმართულ სანქციებს ევროპის კიდევ შვიდი ქვეყანა შეუერთდა



სკანდალი, რომელიც ოპოზიციონერი ჟურნალისტის რომან პროტასევიჩის დაკავებამ გამოიწვია, ძლიერდება. გაფართოვდა სანქციები ბელორუსული ავიაკომპანიების მიმართ.

სანქციებს შეუერთდნენ ისლანდია, ჩრდილოეთ მაკედონია, ნორვეგია და ა.შ. სულ 7 ქვეყანა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

სპორტი

## საქართველოს 22 ლიცენზიატი ჰყავს



ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისთვის საქართველოს დელეგაცია 22 სპორტსმენამდე გაიზარდა.

ბოლოს საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში ოფიციალური დასტური მოვიდა საქართველოს პირველ ჩოგან ნიკოლოზ ბასილაშვილსა და თავისუფალი ყაიდით მოცურავეებზე — მარიამ იმნაძესა და დავით აზესაძეზე.

სადღეისოდ ტოკიოს ლიცენზია მოპოვებული აქვთ ნინო სალუქვაძეს (ტყვიის სროლა), ავთანდილ კენჭაძეს, ელიზბარ ოდიკაძეს, გენო პეტრიაშვილს (ყველა თავისუფალი ჭიდაობა), რამაზ ზოიძეს, ლაშა გობაძეს, გიორგი მელიას, იაკობ ქაჯაიას (ყველა ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), გიორგი მუჯარიძეს (ბირთვის კვრა), ლაშა ღულელაურს (სამხტომი), სახილ ალახვერდოვს, ესკერხან მადიევს, გიორგი ხარაბაძეს (ყველა კრივი), სანდრო ბაზაძეს (ფარიკაობა), ლაშა ტალახაძეს, ანტონ პლესნოის, შოთა მიშველიძეს, გოგა ჩხეიძეს (ყველა ძალოსნობა), გოგიტა არქანიას (კარატე), მარიამ იმნაძეს, დავით აზესაძესა (ორივე ცურვა) და ნიკოლოზ ბასილაშვილს (ჩოგბურთი).

მიმდინარე რეიტინგისა და სპორტული შედეგების მიხედვით, ოლიმპიურ ლიცენზიებს კიდევ რამდენიმე სპორტის სახეობის წარმომადგენლები ელოდებიან.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

კალეიდოსკოპი

## ათი წლის ბიჭმა საკუთარი სიცოცხლის ფასად და გადაარჩინა



ამერიკის სამხრეთ დაკოტის შტატში ათი წლის ბიჭმა საკუთარი სიცოცხლის ფასად და მდინარეში დახრჩობას გადაარჩინა.

რიკი ლი სნივი მდინარე ბიგ-სიუს სანაპიროზე ოჯახთან: მამასთან, უმცროს დასთან და ორ უმცროს ძმასთან ერთად ისვენებდა. მოულოდნელად პატარები წყალში ჩაცვივდნენ და იხრჩობოდნენ.

მამა წყალში პატარა ძმების გადასარჩენად გადაეშვა, ხოლო რიკი დის გადარჩენას შეეცადა.

ბიჭი დას ნაპირამდე მიღწევაში დაეხმარა, თავად კი წყლის სიღრმეში გაუჩინარდა. მამამ მისი დამოუკიდებლად პოვნა ველარ შეძლო.

ბიჭის მოსაძებნად პოლიციისა და მაშველების მონაწილეობით მასშტაბური სამძებრო ოპერაცია გაიშალა. კვირა ღამით ბავშვის ცხედარს მყვინთავმა მიაგნო.

— მან და საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა, — ხაზგასმით აღნიშნა ბავშვის დედამ ნიკოლ ეუფერსმა, რომელმაც იქვე დაამატა, რომ რიკი ყოველთვის ცდილობდა, გარშემომყოფებზე ეზრუნა.

## ინდოეთის ოკეანეში მიაგნეს ვეშაპებს, რომლებიც გადაშენებულად ითვლებოდნენ



ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ინდოეთის ოკეანეში მათი სიმღერის ხმაზე აღმოაჩინეს ლურჯი ჯუჯა ვეშაპების ახალ პოპულაცია, რომელიც გადაშენებულად ითვლებოდა.

სპეციალისტებმა ვეშაპები იმ დროს აღმოაჩინეს, როდესაც ბირთვული გამოცდების საყოველთაო აკრძალვის ორგანიზაციის მონაცემებს სწავლობდნენ. ორგანიზაციის ჰიდროფონებმა, რომლებიც პოტენციური წყალქვეშა ბირთვული იარაღის გამოცდის სათვალთვალოდაა განკუთვნილი, ჯუჯა ლურჯი ვეშაპების მუსიკალური ხმები დააფიქსირა.

ხმების სიხშირის, ტემპისა და სტრუქტურის კვლევისას მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ ასეთ ხმებს არც ერთი უკვე ცნობილი ვეშაპების გუნდი არ გამოსცემდა. თუ ვიზუალური დაკვირვება დაადასტურებს პოპულაციის არსებობას, მაშინ ის მეხუთე იქნება ინდოეთის ოკეანეში.

— ჩვენთვის უცნობია ამ ვეშაპების რაოდენობა, მაგრამ ვეჭვობთ, რომ ბევრნი არიან, უამრავი ხმა გვესმოდა, — ხაზგასმით აღნიშნა კვლევების უფროსმა ავტორმა, ახალი სამხრეთ უელსის უნივერსიტეტის პროფესორმა ტრეისი როჯერსმა.

## ქალი წლების განმავლობაში ერთნაირი ციფრებით თამაშმა გაამდიდრა




ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ ვაიომინგის მცხოვრები ქალი წლების განმავლობაში ლატარიაში თამაშისთვის ერთსა და იმავე ციფრებს იყენებდა და ბოლოს ჯეკპოტი, 866,9 ათასი დოლარი მოხსნა.

47 წლის ქალმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, განაცხადა, რომ 10 მაისს მან მაღაზიაში ლატარიის ბილეთი შეიძინა და მასში სწორედ ის ციფრები ჩაწერა, რომლებითაც მრავალი წლის განმავლობაში თამაშობდა.

— მე და ჩემს ქმარს ლატარიის თამაში გვიყვარს და ყოველთვის ერთსა და იმავე ციფრებს ვიყენებთ, — განმარტა ქალმა.

გათამაშების მეორე დღეს ქალის მეუღლემ შედეგები შეამოწმა და მაშინვე ცოლს დაურეკა.

— მან მაშინვე დამირეკა და ძალიან უცნაურად მელაპარაკებოდა. როდესაც ვკითხე, რა ხდებოდა, მან მითხრა: „ვფიქრობ, ჩვენ ფული მოვიგეთ“, — აღნიშნა ქალმა. მალე მათ მოგების რაოდენობაც შეიტყვეს და გაოგნდნენ.

ქალის თქმით, ისინი მოგებული ფულით სახლის შეკეთებას, გადასახადების დაფარვასა და შვებულების გატარებას აპირებენ.

## ქალმა სასწრაფო დახმარების მანქანა გაიტაცა და წყალში გადააგდო




ამერიკის ნიუ იორკის შტატში ქალმა სასწრაფო დახმარების მანქანა გაიტაცა და ქალაქ როჩესტერის მახლობლად, აირონდეკვოიტის ყურეში, წყალში გადააგდო.

დილით ადრე პოლიციელებმა მიიღეს შეტყობინება სასწრაფო დახმარების მანქანის გატაცების თაობაზე. სამედიცინო დანიშნულების ფორდ ტრანზიტი ავტოფარეხიდან გაქრა, სადაც ის სალონის გასაწმენდად იყო მიყვანილი.

იმ დროისთვის, როდესაც პოლიციელები შემთხვევის ადგილზე მივიდნენ და გატაცებული სატრანსპორტო საშუალების ჯიპიეს კოორდინატები დაადგინეს, ავტომობილი ავტოფარეხიდან 40 კილომეტრში იმყოფებოდა და დასავლეთის მიმართულებით გადაადგილდებოდა. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები გატაცებულ ავტომობილს დაედევნნენ, ამასთან, არც მათ და არც გამტაცებელს სიჩქარისთვის არ გადაუჭარბებიათ.

საბოლოოდ ქალი ქალაქ როჩესტერის რაიონში მივიდა, რომელიც ავტომობილის გატაცების ადგილიდან 160 კილომეტრში მდებარეობს. იქ ქალმა იახტ-კლუბის ჭიშკრის შესამტვრევად მანქანა დიდი სიჩქარით გააქანა, სიგნალები ჩართო და შემდეგ წყალში გადააგდო. ავტომობილის წყალში გადავარდნის მომენტი იახტ-კლუბში დაყენებულმა სათვალთვალო კამერებმა ვიდეოზე გადაიღეს.

ქალმა წყალში გადავარდნილი მანქანიდან თავის დაღწევა მოახერხა, შემდეგ კი მაშველების დახმარება დასჭირდა, რომლებმაც ის ნავში აიყვანეს. ამის შემდეგ ქალი პოლიციელებმა დააპატიმრეს. სამართალდამცავები მომხდარის მიზეზების დადგენაზე მუშაობენ. წყალში ჩავარდნილი სასწრაფო დახმარების მანქანა ევაკუატორის დახმარებით ამოიყვანეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

საზოგადოება

## ტორესა მოსი: „მოდით, ლანძღვა გვერდზე გადავდოთ“



მწერალი ტორესა მოსი რუსთაველის თეატრისა და მისი სამხატვრო ხელმძღვანელის რობერტ სტურუას მიერ რუსეთში გასტროლებში მონაწილეობაზე ატეხილ აჟიოტაჟს ეხმაურება:

— ის, რაც ხდება პერმანენტულად ცალკეული არტისტისა თუ არტისტების ჯგუფის გარშემო, როდესაც ისინი რუსეთში მიდიან, არასწორი მგონია. ეს არათანმიმდევრული და უსამართლო მიდგომაა და, ჩემი აზრით, მომდინარეობს კულტურის როლისა და მნიშვნელობის გაუაზრებლობიდან, რაც კულტურის პოლიტიკის არარსებობით გვირგვინდება, რადგან იმ გაუგებრობას, რომელიც ამ მიმართულებით ხდება, კულტურის პოლიტიკა არ ჰქვია.

პირველი კითხვა ასე ისმის: თუ ქართულ რესტორანსა და სასტუმროს, გიდსა და ტურიზმის სფეროში დაკავებულ უამრავ ადამიანს უფლება აქვს, საკუთარი სერვისი რუს ტურისტს მიჰყიდოს, რატომ არ აქვს უფლება არტისტს, საკუთარი შემოქმედება რუსებს მიჰყიდოს? თუ გლეხს უფლება აქვს, საკუთარი შრომის პროდუქტი რუსეთში საექსპორტოდ გაყიდოს, თუ მეღვინეს უფლება აქვს, ღვინო რუსეთში გაყიდოს, რატომ არ აქვს უფლება თეატრს, საკუთარი სპექტაკლი რუსეთში ითამაშოს?

თუ ჩვენ ვთარგმნით რუს ავტორებს, რატომ არ შეიძლება, მათაც თარგმნონ ქართველი ავტორი, თუ რუსი პოეტები საქართველოში ჩამოდიან, რატომ არ აქვთ იგივე უფლება ჩვენს პოეტებს?

სადღაც უნდა გავიაზროთ, რაღაც მომენტში, რომ იანდექს ტაქსიში მჯდომმა, ბილაინის ქსელში ჩართული ტელეფონით არ შეიძლება, რუსთაველის თეატრს იმიტომ აგინო, რომ ჩეხოვის ფესტივალზე სპექტაკლი მიაქვს.

ან ერთხელ და სამუდამოდ უარი ვთქვათ რუსეთზე ყველა თავისი პროდუქტით, ბოლომდე ჩავკეტოთ და ეგ იყოს ჩვენი პასუხი, ან ეს ორმაგი სტანდარტი მოვხსნათ. მეტსაც გეტყვით, მე მგონია, რომ ოკუპანტ ქვეყანასთან ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის თვალსაზრისით კულტურის ექსპორტი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ღვინისა და პამიდვრის, ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუ კულტურის პოლიტიკა გაქვს და ეს კულტურის პოლიტიკა ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ნაწილია.

მუშტების ბრახუნი მკერდზე პატრიოტიზმი რომ იყოს და ომების მოგება პოპულიზმით შეიძლებოდეს, ახლა რუსეთი განადგურებული გვეყოლებოდა.

მოდით, ლანძღვა გვერდზე გადავდოთ და დავფიქრდეთ, იქნებ შეგვიძლია, ბოლოს და ბოლოს, მართლა გვქონდეს კულტურის პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, რომლის შემადგენელიც იქნება ეს კულტურის პოლიტიკა? რა ვიცი, იქნებ ყველაფერში ასეთი ზედაპირულები არ ვიყოთ და ვცადოთ, რამე უფრო სიღრმისეულად გავაკეთოთ?

რობიკო სტურუაზე, როგორც ადამიანზე, მაღალი წარმოდგენის არ ვარ, მაგრამ ამის გამო არ ვაპირებ რეჟისორ რობიკო სტურუას გინებას. როგორც რეჟისორი, კარგია და კი, კარგი სპექტაკლის დადგმა დღემდე შეუძლია.

## გია მურღულია: „უსახურ წუხილს „შური“ ჰქვია, მშვენიერს — „სევდა“



ფილოლოგი გია მურღულია წუხილის ორგვარ განმარტებას გვთავაზობს და არჩევანის გაკეთების საშუალებასაც გვიტოვებს:

— უსახურ წუხილს „შური“ ჰქვია, მშვენიერს — „სევდა“.

პირველი გულის კვამლია, მეორე — მისივე მზიანი ნისლი.

პირველი ადამიანს ანგრევს, მეორე სულს უწმენდს და აკეთილშობილებს.

პირველი თვითონ მოდის და მეორესთან თავად უნდა მიხვიდე.

პირველი ყოველი კაცის სასჯელია, მეორე — რჩეულთა ჯილდო.

შური სრულყოფილებიდან გაქცევაა, სევდა — მისი შეგრძნება და აღმოჩენა.

ბედნიერია ის, ვისაც შეუძლია თქვას:

„მთელი ცხოვრება სევდა მსდევდა“.

მხოლოდ ასეთ ადამიანს ძალუძს, სრულად დაინახოს და შეიგრძნოს სიყვარული — მისი ყოფნაც და არყოფნაც.

## მიხეილ ზაქარიაშვილი: „არ მოვიდა დრო, სათანადოდ დაფასდეს ხელოვანი ხალხი?!“



კომპოზიტორი და მომღერალი მიხეილ ზაქარიაშვილი მიიჩნევს, რომ დადგა დრო, როდესაც ხელოვანი ხალხი უნდა დაფასდეს:

— ალბათ ძველებს გახსოვთ, ფულიანი ხალხი, ცეხავიკები, როგორ პატივს სცემდნენ დამსახურებულ ხელოვან ხალხს. არ არსებობდა სუფრა, რომ დაპატიჟებული არ ჰყოლოდათ! ბევრჯერ მინახავს ავთო შარვაძე, ოთარ რამიშვილი კომუნისტი ფუნქციონერების სუფრებზე, იცოდნენ, რომ მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდათ კომუნისტები და მაინც პატიჟებდნენ, არანაირ პოლიტიკურ ანგაჟირებას არ ჰქონდა ადგილი!

ახლა?! ან მთავრობა როგორ პატივს სცემდა ხელოვანებს, ხან მანქანას ჩუქნიდა, ხან სახლს და ხან, რა ვიცი, ძვირფას საჩუქრებს! ახლა რაღაც რუბრიკა წამოვიწყე, ვეფერები ჩემს მეგობრებს, ხელოვან ხალხს, რომლებიც იგნორირებული ჰყავს ჩვენს ხელისუფლებას. ისე უხარიათ უბრალო მოფერება, რომ ვერც წარმოიდგენთ, ზოგჯერ მიტირია კიდეც მათზე.

მე 15 წელი ვსწავლობდი მუსიკას და ვილაც ორაკორდიანი მუსიკოსი როგორ უნდა დამიყენონ გვერდში? ხომ არ მოვიდა დრო, სათანადოდ დაფასდეს ხელოვანი ხალხი, იფიქროს ხელისუფლებამ და არა მხოლოდ პოლიტიკურად მომხრე ხელოვანები დააჯილდოვოს, არამედ — ნაღდი ხელოვანნი, ვისაც ეკუთვნის დახმარება, რომლებიც მთელი ცხოვრება ხალხსა და მის უდიდებულესობა ჭეშმარიტ ხელოვნებას ემსახურებიან. თქვენ რას ფიქრობთ, მეგობრებო?

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ინგლისსა და ჩეხეთს ხორვატია შეუერთდა

**ხორვატია-შოტლანდია 3:1**

**გლაზგო. ჰემპდენ პარკი**

1:0 ვლაშიჩი (17), 1:1 მაკგრეგორი (42), 2:1 მოდრიჩი (62), 3:1 პერიშიჩი (77)

**ხორვატია:** ლივაკოვიჩი, იურანოვიჩი, ლოვრენი, ვიდა, გვარდიოლი (ბარიშიჩი 71), ბროზოვიჩი, კოვაჩიჩი, პერიშიჩი (რებიჩი 81), მოდრიჩი, ვლაშიჩი (ივანუშეცი 76), პეტკოვიჩი (კრამარიჩი 70)

**შოტლანდია:** მარშალი, მაკტომინი, ჰენლი (მაკკენა 33), ტირნი, ოდონელი (პატერსონი 84), არმსტრონგი (ფრეიზერი 70), მაკგინი, მაკგრეგორი, რობერტსონი, დაიქსი, ადამსი (ნისბეტი 84)

ამ გუნდების მატჩს უკრაინა უფრო ელოდებოდა, რადგან ფრედ დამთავრების შემთხვევაში თავად გადიოდა ფლეი ოფში. ახლა უკრაინა სხვა მატჩს უნდა დაელოდოს, რადგან ხორვატებმა 3:1 მოიგეს და მერვედფინალში მე-2 ადგილით გავიდნენ.

არადა, დებიუტი შოტლანდიელების იყო, მაგრამ ვლაშიჩმა პირველივე შანსი გამოიყენა და ხორვატია დააწინაურა. მართალია, ტაიმის ბოლოს მაკგრეგორმა გაათანაბრა, მაგრამ შესვენების შემდეგ ხორვატებმა უკეთ ითამაშეს.

ეს უფრო ინდივიდუალური კლასის ხარჯზე მოხდა, რითიც ხორვატია მეტოქეს სჯობნიდა. პერიშიჩმა და მოდრიჩმა გოლების დროს პასები ერთმანეთს მისცეს და მატჩის ბედიც გადაწყდა.

ხორვატია იმსახურებდა და დამაჯერებლადაც მოიგო, შედეგად მე-2 ადგილი დაიკავა და ე ჯგუფის მეორეადგილოსანს ელოდება. ეს კი, არავინ იცის, ვინ იქნება.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ლუკა მოდრიჩი**

ლუკა ნამდვილად არის ხორვატიის ნაკრების ლიდერი და ეს ამ მატჩშიც დაამტკიცა. გოლი ძალიან მნიშვნელოვან დროს გაიტანა, ხოლო შემდეგ პერიშიჩსაც გაატანინა.



**ჩეხეთი-ინგლისი 0:1**

**ლონდონი. უემბლი**

0:1 სტერლინგი (12)

**ჩეხეთი:** ვაცლიკი, ცუფალი, ჩელუსტკა, კალასი, ბოჟილი, სუჩეკი, ჰოლეში (ვიდრა 84), მასოპუსტი (ჰლოჟეკი 64), დარიდა (კრალი 64), იანკტო (შევჩიკი 46), შიკი (პეკჰარტი 75)

**ინგლისი:** პიკფორდი, უოლკერი, სტოუნზი (მინგსი 79), მაგუაირი, შოუ, ფილიპსი, რაისი (ჰენდერსონი 46), საკა (სანჩო 84), გრილიში (ბელინგემი 68), სტერლინგი (რაშფორდი 67), კეინი

ორივე გუნდს შემდეგ ეტაპზე გასვლა გარანტირებული ჰქონდა, მაგრამ მთავარი იყო, რომელი ადგილით გავიდოდნენ, რათა შედარებით სუსტი მეტოქე შეხვედროდათ. საბოლოოდ ინგლისელებმა მოიგეს, რომლებმაც თამაში მძლავრად დაიწყეს და უკვე მე-12 წუთზე იგებდნენ. გოლი რაჰიმ სტერლინგმა შეაგდო.

ინგლისელები დარჩენილ დროშიც უფრო უკეთ გამოიყურებოდნენ, მაგრამ ძალიანაც არ იწუხებდნენ თავს, რადგან ამ შედეგით პირველ ადგილზე გავიდოდნენ. საბოლოოდ ასეც მოხდა, ხოლო ჩეხები მე-3 ადგილზე დარჩნენ.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – რაჰინ სტერლინგი**

ცოტა რთული საკითხი იყო, ვინ გამოგვერჩია, რადგან ვარსკვლავები არავის მოუწყვეტია. ამიტომაც არჩევანი ერთადერთი და მომგებიანი გოლის ავტორზე შევაჩერეთ.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინგლისი | 3 | 2 | 1 | 0 | 2-0 | 7 |
| 2.ხორვატია | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| 3.ჩეხეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| 4.შოტლანდია | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |

# ბელა ხოტენაშვილი საქართველოს ჩემპიონია

მოჭადრაკე ქალთა 78-ე ჩემპიონატის უმაღლეს ლიგას ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლემ უმასპინძლა და ბელა ხოტენაშვილმა საქართველოს ჩემპიონის ტიტული მესამედ მოიპოვა. ტურნირი წრიული სისტემით 9 ტურად გაიმართა, ხოლო საპრიზო ფონდი 25.000 ლარი იყო.

ხოტენაშვილმა 8 პარტიაში 6.5 ქულა დააგროვა – 5 გამარჯვება და 3 ყაიმი. შეგახსენებთ, რომ ბელამ ქვეყნის ჩემპიონატზე პირველად 2012 წელს გაიმარჯვა, 2017 წელს კი წარმატება გაიმეორა.

6.0 ქულით საქართველოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალი მერი არაბიძემ მოიპოვა, ხოლო ნინო ბაციაშვილმა 5.5 ქულითა და უკეთესი მაჩვენებლებით ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

საპრიზო სამეულში გასული მონაწილეები ივლისში რუმინეთის ქალაქ იაშიში დაგეგმილ ევროპის ქალთა ინდივიდუალურ ჩემპიონატზე იასპარეზებენ.

# ეტოოს აზრით, მესი და აგუერო ბევრ გოლს გაიტანენ

ბარსელონას გუნდის ლიდერ ლიონელ მესისთან ახალი კონტრაქტის გაფორმება დაუყოვნებლივ სურს.

ესპანური მედიის ცნობით, ბარსას პრიორიტეტი ამჟამად მესისთან ხელშეკრულების გახანგრძლივებაა. „ბლაუგრანას“ სურს, არგენტინელ ვარსკვლავთან ახალი კონტრაქტი 30 ივნისამდე გააფორმოს, იქამდე, სანამ მისი მოქმედი ხელშეკრულების ვადა ამოიწურება.

კატალონიელებს სჯერათ, რომ მესი კონტრაქტს გაახანგრძლივებს, მაგრამ კლუბი ცოტა აჩქარდა. ბარსელონას არ სურს, ახალი კონტრაქტის შეთანხმებამდე ახლანდელ ხელშეკრულებას ვადა გაუვიდეს, რადგან ეს კლუბის იმიჯზე უარყოფითად იმოქმედებს.

ბარსელონის ყოფილი შემტევი სამუელ ეტოო ფიქრობს, რომ თუ მესი კონტრაქტს გაახანგრძლივებს, მომდევნო სეზონში მესისა და სერხიო აგუეროს დუეტი ბევრ გოლს გაიტანს.

**სამუელ ეტოო:**

– მესისა და აგუეროს დუეტისგან თითოეულ სეზონში 60 გოლს ვიხილავთ. უბრალოდ, იმედი მაქვს, ღმერთი მათ ტრავმებისგან დაიცავს. მესი ბარსელონაა. იგი სხვა ფორმით ვერ წარმომიდგენია. ერთხელ ლეოს ვუთხარი, რომ მისი გოლები უნიკალურს გახდიდა. ლეო ღმერთია. ის ყოველთვის მისმენდა, არაფერს ამბობდა და, ფაქტობრივად, ჩემს რჩევებს ითვალისწინებდა. ტელევიზორში მისი თამაშის ყურებისას ხშირად ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც მასთან ერთად გოლების აღნიშვნა მომდომებია, რადგან მისი გოლები შესანიშნავია.

# სამგლოვიარო განცხადებები

შპს კორპორაცია „კოლხას“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ შპს „თერგის“ დირექტორის

**ჯემალ ქადაგიშვილის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**

**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# ტორპედოს ქულა ზიდანმა აჩუქა, დილას კაპანაძემ მოაგებინა

**ტორპედო-დინამო (ბთ) 2:2**

**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

0:1 ფანცულაია (2), 0:2 გრიგალაშვილი (34სკ), 1:2 მამასახლისი (64პ), 2:2 ზიდანი (67)

**ტორპედო:** ჰამზიჩი, ვ.ტაბატაძე (უგრეხელიძე 81), ქაფიანიძე, ნადარაია, მამასახლისი, ძარია (ფირანიშვილი 11), ზიდანი, რეკიში, გრიგალაშვილი, ინკუმი, ჩაკვეტაძე (გოგუაძე 45)

**დინამო:** კუპატაძე, ტეიდი, თ.გაფრინდაშვილი (მანჯგალაძე 63), ზარია (ჯილაური 46), ფანცულაია (სანოგო 71), აზაროვი, მამუჩაშვილი, ალთუნაშვილი (შინდაგორიძე 80), გროცურეკი (ფლამარიონი 46), კობახიძე, გაგოშიძე

ქუთაისელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჩემპიონატის ლიდერს არაფერი დაუთმეს, 2-ბურთიანი ჩამორჩენის პირობებში ბოლომდე იბრძოლეს და აქტივში დამსახურებული ქულა ჩაიწერეს. მთლიანობაში მატჩიც ძალზე საინტერესო და სანახაობრივი გამოდგა, განსაკუთრებით – მე-2 ტაიმი.

არადა, ბათუმელებმა მასპინძლებს მისალმებაც არ აცადეს და მე-2 წუთზე სწრაფი გოლი გაიტანეს: მარჯვენა ფლანგზე თორნიკე გაფრინდაშვილის ჩაწოდების შემდეგ ბურთს მიმართულება ლუკაშ გროცურეკმა შეუცვალა და გიორგი ფანცულაიასთან მივიდა, რომელმაც ყოფილ გუნდს გაუტანა – 1:0.

ტორპედოს მალევე მიეცა ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა, მაგრამ დმიტრი რეკიშმა ხელსაყრელი პოზიციიდან ბურთი კარს ააცილა.

მე-12 წუთზე ფანცულაია ახლოს იყო დუბლთან, მაგრამ მისი თავურის შემდეგ ტორპედო გოლისგან დინო ჰამზიჩმა იხსნა. და მაინც, ზღვისპირელებმა მე-2 გოლი გაიტანეს – გროცურეკი საჯარიმოში აწვდიდა, ბურთი თედორე გრიგალაშვილს მოხვდა და კარში შევარდა.



თითქოს მატჩის ბედი გადაწყდა, მაგრამ ასე არ ფიქრობდა კახა ჩხეტიანი, რომელიც ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ფეხბურთსაც დაუბრუნდა და ტორპედოსაც. მე-2 ტაიმში ტორპედომ 5-წუთიან მონაკვეთში თამაში შემოატრიალა. ფადი ზიდანი საჯარიმოში წააქციეს და პენალტი გოლად ოლეგ მამასახლისმა აქცია. მალევე კი თავად ზიდანი რეკიშის პასის შემდეგ მცველებს გაექცა და შორეულ კუთხეში გაუტანა კუპატაძეს – 2:2.

მატჩის ბოლო წუთები ძალიან დაძაბული გამოდგა. დინამომ შტურმი მოაწყო, რათა შინ 3 ქულით გაბრუნებულიყო, მაგრამ ქუთაისელთა დაცვა და მეკარე კარგად თამაშობდნენ და ქულაც დაიმსახურეს.

**დილა-შუქურა 1:0**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

1:0 კაპანაძე (54)

**დილა:** გუგეშაშვილი, ჩიტეიშვილი, მოსიაშვილი (სანტოსი 77), ლუდუშაური, მაისაშვილი, თ.კაპანაძე (მადინგა 88), ნონდი, ბიძინაშვილი, სილვა, კამარა (წოწონავა 90), ეტოუ

**შუქურა:** თებიძე, ფარტენაძე, ვარშანიძე (ვერულიძე 86), ჭანტურია, მუსელიანი, ინგოროყვა, ტენორი (კვარაცხელია 60), სარდალიშვილი, ვ.გაფრინდაშვილი, რეხვიაშვილი, კაკაშვილი

დილამ თავიდანვე ხელთ იგდო უპირატესობა. რამდენიმე ხიფათის შემდეგ გოლის გაიტანეს, მაგრამ მსაჯმა არ ჩათვალა.

სტუმრები საკუთარი კარის უსაფრთხოებისთვის ზრუნვას კარგად ართმევდნენ თავს და კონტრშეტევებზე მოწინააღმდეგესაც აწუხებდნენ. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევისას დილა გოლს გადაურჩა. 28-ე წუთზე მიშიკო სარდალიშვილმა მის წინ დარჩენილი მეკარე მოატყუა და ცარიელ კარში დაარტყა, მაგრამ რომარიკ ეტუმ მიასწრო და ბურთი მოიგერია.

პირველი ტაიმის ბოლო წუთზე შუქურაც გადაურჩა გოლს – ცოტნე მოსიაშვილმა საჯარიმოს გარედან დაარტყა და ბურთი ხარიხამ აისხლიტა. მოსიაშვილმა მე-2 ტაიმის დასაწყისშიც ცადა იმავეს გამეორება, მაგრამ ზღვისპირელები ამჯერად უკვე ძელმა იხსნა.

შუქურა გოლს მაინც ვერ გადაურჩა: 54-ე წუთზე ვანდერსონ სილვას ჩაწოდებულ ბურთზე თორნიკე კაპანაძემ ყველას დაასწრო და ეფექტური გოლი გაიტანა – 1:0.

მალევე სილვას ჩაწოდებული უკვე ლუდუშაურმა ვერ აქცია გოლად.

თამაშის ბოლოს შუქურა უფრო მიეძალა მოწინააღმდეგის საჯარიმოს, რამდენიმეჯერ გორელები მათმა შეტევებმა კიდეც აანერვიულა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 19 | 11 | 6 | 2 | 35-12 | 39 |
| 2.დინამო (თბ) | 18 | 12 | 2 | 4 | 29-13 | 38 |
| 3.საბურთალო | 18 | 8 | 7 | 3 | 26-18 | 31 |
| 4.ლოკომოტივი | 18 | 9 | 3 | 6 | 31-27 | 30 |
| 5.დილა | 19 | 8 | 5 | 6 | 20-18 | 29 |
| 6.სამგურალი | 18 | 6 | 6 | 6 | 17-20 | 24 |
| 7.ტორპედო | 19 | 3 | 10 | 6 | 18-20 | 19 |
| 8.შუქურა | 19 | 3 | 7 | 9 | 14-26 | 16 |
| 9.თელავი | 18 | 2 | 6 | 10 | 12-30 | 12 |
| 10.სამტრედია | 18 | 2 | 4 | 12 | 16-34 | 10 |

# შვიდკაცა ნაკრები მოსკოვში გაემგზავრა

საქართველოს შვიდკაცა ნაკრები მოსკოვში გაემგზავრება, სადაც 2021 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის მეორე დასკვნით ეტაპზე ითამაშებს.



ლისაბონში 3 თამაშის მოგებისა და მე-5 ადგილის დაკავების შემდეგ ჩვენი გუნდი ა ჯგუფში ესპანეთის, პორტუგალიისა და პოლონეთის ნაკრებებთან მოხვდა, ბ ჯგუფში კი გერმანია, რუსეთი, იტალია და ლიეტუვა ითამაშებენ.

ჯგუფური ეტაპის შეხვედრები 26 ივნისს გაიმართება. საქართველო პირველ მატჩს პორტუგალიის წინააღმდეგ გამართავს, შემდეგ ესპანეთს შეხვდება, ხოლო ბოლოს – პოლონეთს. 27 ივნისს უკვე ფლეი ოფებია და მასში რვავე გუნდი მეოთხედფინალებიდან ჩაერთვება ჯვარედინი სისტემით.

მოსკოვში გამგზავრებამდე 20-კაციანმა გაფართოებულმა შემადგენლობამ 8-დღიანი შეკრება „შევარდენის“ ბაზაზე გაიარა, რის შემდეგაც ტურნირისთვის 12 შეირჩა.

რადგან ჯაბა მალაღურაძე შვიდქალა ნაკრებთან ერთად ზაგრების ტურნირზე იმყოფებოდა, შვიდკაცას გიორგი მაისურაძე და გიორგი ნოზაძე ავარჯიშებდნენ, ხორვატიიდან დაბრუნების შემდეგ კი მათ მალაღურაძეც შეუერთდა.

ლისაბონის ეტაპისგან განსხვავებით, მოსკოვის ტურნირისთვის 12-კაციან განაცხადში 7 ცვლილებაა.

**გიორგი მაისურაძე:**

– შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, მე და ჯაბას შვიდქალა ნაკრებთან ერთად შვიდკაცას გაწვრთნაც მოგვიხდა. რადგან ტურნირები ერთ პერიოდში ტარდება, გადავწყვიტეთ, რომ მე შვიდკაცასთან დავრჩენილიყავი, ჯაბა კი გოგონებს გაჰყვა და ახლა დაგვიბრუნდა, ხოლო წვრთნის პროცესში გიორგი ნოზაძე მეხმარებოდა. იმის გამო, რომ მოთამაშეთა ნაწილს კოვიდ 19 შეხვდა, ლისაბონში გამგზავრებამდე შემადგენლობის შეცვლა, ფაქტობრივად, ბოლო წამს მოგვიხდა. თავის დაზღვევის მიზნით ამჯერად გაფართოებულ შემადგენლობაში 22 მოთამაშე გამოვიძახეთ, მაგრამ 2 ტრავმის გამო გამოგვაკლდა და სატურნირო რაზმი 20 მორაგბიდან შევარჩიეთ.

ჩვენი მიზანია, რომ ვითამაშოთ უკეთ, ვიდრე ლისაბონში და მოწინავე ოთხეულში მოვხვდეთ. ნაყოფიერი შეკრება გვქონდა და ბევრ დეტალზე ვიმუშავეთ. გვქონდა ორმხრივი თამაშებიც და თავის გამოჩენის შესაძლებლობა ყველას მიეცა. გავიარეთ მეტოქეთა თამაშების ვიდეოანალიზი. აქცენტს პორტუგალიაზე ვაკეთებთ, რადგან პირველი შეხვედრა მასთან გვაქვს და გვსურს, ტურნირი მოგებით დავიწყოთ, რაც მეოთხედფინალში უკეთეს პოზიციაში ჩაგვაყენებს. შევარჩიეთ სტრატეგია, რომელმაც, ჩვენი აზრით, წარმატება უნდა მოგვიტანოს და, გაამართლებს თუ არა ის, მოედანზე გამოჩნდება.

**საქართველოს შვიდკაცა მოსკოვის ტურნირზე ასეთი შემადგენლობით ჩავიდა:**

ნიკოლოზ რეხვიაშვილი, ლადო მიმინოშვილი (ორივე ყოჩები), გიორგი ჭუაძე (აკადემია), გიორგი კოშაძე, ლევან ნარიმანიძე (ორივე ხარები), თენგიზ პერანიძე (ლელო-სარასენსი), ნიკოლოზ გიგაური, ლუკა დვალიშვილი, ალექსანდრე კალმახელიძე, ლუკა მატკავა (ყველა არმაზი), იოანე ხელაია (აკადემია, თბილისი), რევაზ ხარაზიშვილი (იუნკერები).

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. გურიაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 2. ქეჩის გადასატანი კარავი შუა აზიასა და მონღოლეთში; 3. პურეული მცენარე; 5. ღვინის სასმისი; 6. კინოსა და თეატრის ქართველი კინოვარსკვლავი ქალი; 8. ქართველი მხატვარი ქალი; 10. ჩაის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 12. პროვინციის მმართველი სპარსეთში, რომელიც განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა; 14. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 16. საათების მწარმოებელი იაპონური ფირმა.

**თარაზულად:** 1. შტატი აშშ-ში; 4. ცხვრის ტყავისგან შეკერილი ზედა მოსაცმელი; 7. ორგანიზმის შემადგენელი უმარტივესი ერთეული; 9. ახლადამოსული პურის ყანა; 11. ზღვისპირა კურორტი სამეგრელოში; 12. ქირურგიული დანა; 13. კომბინაცია პოკერში; 17. რუსეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი მამაკაცი; 18. ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი; 19. მომავლის რწმენა; 20. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*





## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კიკეთი; 2. ქინთი; 3. ელიავა; 4. უჯარმა; 6. ასფალტი; 9. შაირი; 11. ცისკარი; 15. ალარმისტი; 16. დაბარი; 17. მუჰამედი; 19. ისტვუდი; 21. ლაკმუსი; 22. მახვში.

**თარაზულად:** 5. ყინწვისი; 7. სუარესი; 8. შანიძე; 10. ვაქცინა; 12. მძივი; 13. რკინა; 14. ბერნადოტი; 18. ციკლი; 20. ქაბული; 23. ტაიმსი; 24. კები; 25. მუღამი; 26. შატო; 27. ქსენონი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჭონა; 2. თაობა; 3. ხვიფლი; 5. ქცევა; 6. საფერავი; 8. სარწყუნისი; 10. აზურიტი; 12. კუბდარი; 14. ალმაზა; 15. ფინიკი; 16. ომეგა.

**თარაზულად:** 1. ჭანეთი; 4. ექსცესი; 7. სტოუნი; 9. ლეკალო; 11. პრიკაზი; 12. კაჭარავა; 13. თრომბი; 17. ბულონი; 18. ეირე; 19. ბრილიანტი; 20. სიბარიტი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


24 ივნისი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 3.1549

ევრო — 3.7695

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.4055

100 რუსული რუბლი — 4.3435

**ამინდის პროგნოზი 24 ივნისისათვის**




## რესტორნის თანამშრომელი პოლიციელების უფასო ბურგერით გამასპინძლებაზე უარის გამო დააპატიმრეს



პაკისტანში სწრაფი კვების რესტორნის თანამშრომლები იმის გამო დააპატიმრეს, რომ მათ უარი თქვეს, ბურგერებით უფასოდ გამასპინძლებოდნენ პოლიციელებს.

საუბარია სწრაფი კვების ქსელ ჯონი ენდ ჯუგნუზე. დაპატიმრებული აღმოჩნდნენ რესტორნის მენეჯერი და 18 თანამშრომელი. მათთვის დაპატიმრების მიზეზი არ აუხსნიათ.

რესტორნის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ პერსონალს დაწესებულების დაკეტვის უფლება არ მისცეს. მოწყობილობა ჩართული დარჩა, ხოლო კლიენტები მიცემულ შეკვეთებს ელოდნენ. დაწესებულების თანამშრომლებმა პოლიციის განყოფილებაში შვიდი საათი გაატარეს.

## დათვმა ოთხი ადამიანი დააშავა და ავიაბაზაზე შეიჭრა



იაპონელმა მონადირეებმა მოკლეს დათვი, რომელმაც ჰოკაიდოს პრეფექტურაში ოკადამას ავიაბაზაზე შეაღწია და ოთხი ადამიანი დააშავა.

იმ მომენტისთვის, როდესაც პოლიციელებმა და მონადირეებმა მტაცებელ ცხოველს მიაგნეს, მას უკვე დატოვებული ჰქონდა ავიაბაზის ტერიტორია და შორიახლოს ბუჩქებში იმალებოდა.

მანამდე ცნობილი გახდა, რომ აგრესიული დათვი ქალაქ საპოროში თავს დაესხა ხანდაზმულ, 70 და 80 წლის წყვილსა და 40 წლის მამაკაცს. ამის შემდეგ ცხოველმა ოკადამას იაპონიის თავდაცვის საჰაერო ძალების ავიაბაზაზე შეაღწია და ერთ-ერთ სამხედრო მოსამსახურეს დაესხა თავს.

ამის შემდეგ დათვმა აეროპორტის ტერიტორიაზე გადაინაცვლა, ასაფრენ-დასაფრენ ბილიკზე გაისეირნა, შემდეგ ღობეზე გადაძვრა და ტერიტორია დატოვა. აღნიშნული შემთხვევის შედეგად მიყენებული შესაძლო ზარალის დასაანგარიშებლად ადმინისტრაციამ ფრენები დროებით შეაჩერა.

## ძაღლმა ქალი თვითმკვლელობას გადაარჩინა



ინგლისის დევონის საგრაფოში ძაღლმა გადაარჩინა ქალი, რომელიც თავის მოკვლას აპირებდა.

15 ივნისს, 11:00 საათზე, პოლიციის თანამშრომლებმა და დევონის სამაშველო სამსახურმა გამოძახება მიიღეს ა379 გზატკეცილზე ქალაქ ექსეტერის მახლობლად მდებარე საფეხმავლო ხიდზე. ადგილზე მისვლისას მათ აღმოაჩინეს ქალი, რომელსაც სიცოცხლის თვითმკვლელობით დასრულება ჰქონდა გადაწყვეტილი.

სამართალდამცავებმა გზა გადაკეტეს და სამაშველო ოპერაცია დაიწყეს. პოლიციელებმა ქალთან მოლაპარაკების დაწყება ცადეს, მაგრამ ამას შედეგი არ გამოუღია, ვითარება სულ უფრო მძიმდებოდა. მაშინ მათ გადაწყვიტეს, ოპერაციაში ძაღლი-მაშველი, სახელად დიგბი ჩაერთოთ, რომელიც ადამიანებს დაშავების დროს ეხმარება.

დიგბის დანახვისას ქალს გაეღიმა. მაშველებმა ქალს ძაღლის ისტორია უამბეს და შესთავაზეს, ხიდის მოაჯირზე გადმომძვრალიყო, რათა მას ახლოს გასცნობოდა. ქალი დასთანხმდა და რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე უსაფრთხოდ იყო. ამჟამად მასთან ფსიქოლოგები მუშაობენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



**24 ივნისისათვის**

**ვერძი** — ფინანსური ოპერაციებისას ზედმეტი რისკი გავნებთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კურო** — კარგი დროა ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის. მიმართეთ ძველ მეთოდებს. ექსპერიმენტები რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** — თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით, დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება. თავს ნუ გადაიტვირთავთ. **კირჩხიბი** — ახლობლებს დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **ლომი** — შემოქმედ ადამიანებს კეთილისმყოფელი დღე აქვთ. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **ქალწული** — თქვენს მტრებზე შური არ იძიოთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **სასწორი** — არც ზედმეტი თავდაჯერებულობავარგა და არც გაუბედაობა. ზომიერება დაიცავით. **ღრიანკალი** — ძალიან გაღიზიანებული ხართ. ერიდეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენზე უარყოფით გავლენას ახდენენ. **მშვილდოსანი** — პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. **თხის რქა** — იღბლიანი დღეა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, ყველაფერი დიდებულად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **მერწყული** — ვარსკვლავები სასიყვარულო ურთიერთობებში გეხმარებიან. ბედი გწყალობთ. **თევზები** — ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

●●●

კაცი ქალს ეუბნება:

— იცით, ალკოჰოლი უფრო მომხიბვლელსა და მიმზიდველს გხდით...

— მადლობა, მაგრამ მე ჯერ არ დამილევია...

— სამაგიეროდ, მე მაქვს უკვე სამასი გრამი დალეული...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— ყველა ქალი უტვინოა?!

— საიდან დაასკვენი?

— ამ დილით მეზობელ ქალს მანქანის ბუქსირით დაქოქვაში ვეხმარებოდი... 20 წუთი აქეთ-იქით დავათრევდი, სანამ იმ უტვინოს არ გაახსენდა, რომ აკუმულატორი ამოღებული ჰქონდა...

●●●

შვილი მამას ეკითხება:

— მამიკო, შენ პიონერი იყავი?

— კი, შვილო.

— და რას აკეთებდით?

— პიონერულ კოცონებს ვანთებდით, ჯართს, მაკულატურას ვაგროვებდით...

— მაწანწალებივით?

●●●

სკოლიდან სახლში დაბრუნებული გივი მშობლებს ეუბნება:

— დღეს ხატვის გაკვეთილზე მასწავლებელმა დედა დაგვახატვინა!

— კი მაგრამ, გუშინაც დედა არ დახატეთ? — ეკითხება მამა.

— მასწავლებელი, როგორც კი კლასში შემოდის, ეგრევე ღრიალებს: „ხატეთ, თქვენი დედა!!!“

●●●

ექიმი პაციენტს ეკითხება:

— აბა, ხველა გაქვთ?

— არა, ექიმო.

— სურდო?

— არა, ექიმო.

— თავის ტკივილი?

— არა, ექიმო.

— სუნთქვის გაძნელება?

— არა, ექიმო.

— და საერთოდ თავს როგორ გრძნობთ?

— შესანიშნავად, ექიმო!

— ასეც ჩავწერეთ, უსიმპტომო კორონავირუსი!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## „ქართული ხმების“ სოლისტი ზურაბ ბაკურაძე გარდაიცვალა



ანსამბლ „ქართული ხმების“ სოლისტი, მომღერალი ზურაბ ბაკურაძე უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა.

გავრცელებული ინფორმაციით, ის რაჭაში იმყოფებოდა. შქმერში გზა ჩავარდა, ზურაბ ბაკურაძე ტერიტორიაზე ფეხით გადაადგილდებოდა და ხევში ჩაიჩეხა.

## გიორგი კეკელიძემ გიორგი ანწუხელიძის სახელობის პირველი სტიპენდიატი გამოავლინა



ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა გიორგი კეკელიძემ ეროვნული გმირის გიორგი ანწუხელიძის სახელობის პირველი სტიპენდიატი გამოავლინა და ფართო საზოგადოებასაც გააცნო:

— ეს ქართველი გმირის, გიორგი ანწუხელიძის სახელობის პირველი სტიპენდიატი ქეთი ჩახუნაშვილია. ქეთი ბიბლიოთეკაში მამასთან, სამხედრო გიორგი ჩახუნაშვილთან ერთად გვესტუმრა. ის შესანიშნავი მოსწავლე და მომავალი ბიოლოგი გახლავთ. გიორგი ანწუხელიძის სახელობის სტიპენდია ქართველი სამხედროების შვილებს გადაეცემათ.

ქეთი გიორგი ანწუხელიძის მეუღლემ, მაკა ჩიკვილაძემ გაგვაცნო. სპეციალური მადლობა მხარდაჭერისთვის ნათია ქარდავას.

## ედმონდ მინაშვილს სამხატვრო ხელმძღვანელების სამართლიანი არჩევნები სურს



მსახიობსა და პროდიუსერს ედმონდ მინაშვილს მიაჩნია, რომ თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების ასარჩევად უფრო დემოკრატიული და სამართლიანი არჩევის წესია დასამკვიდრებელი:

— პროფესიულ თეატრებში სამხატვრო ხელმძღვანელების ახალი ვადით არჩევის დრო მოახლოვდაო, ყური მოვკარი. მომიტევეთ, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ძალიან დიდი სისულელეა ხელმძღვანელების ასეთი ფორმით დანიშვნა თუ „არჩევა“. ვფიქრობ, ეს არის საბჭოთა მენტალიტეტის „თანამედროვე“ ინოვაციით „გაპრავება“. არ შეიძლება, არაფრის მომცემი „სარეკომენდაციო“ საბჭო, რომელიც შედგება ოთხი თუ ხუთი უპრინციპო და, ხშირ შემთხვევაში, მიკერძოებულ პირთაგან, იღებდეს ასეთ საპასუხისმგებლო პროცესში ამგვარი ფორმით მონაწილეობას.

სიმართლე ვთქვათ და, იდეაში, ვერავითარ გადაწყვეტილებასაც ვერ იღებენ. ეს დამკვიდრებული მეთოდი თუ „კანონი“ არის ძალიან დიდი „ბლეფი“ და დროის ფუჭად კარგვა.

მე, პირადად, ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენი ახალი, ძალიან პრინციპული და კრეატიული მინისტრი შემოიღებს და დაამკვიდრებს სამხატვრო ხელმძღვანელების უფრო დემოკრატიული და სამართლიანი არჩევის წესს.

## ჩრდილების თეატრის მსახიობი მარიამ კაპანაძე დააჯილდოვეს



ჩრდილების სახელმწიფო თეატრის მსახიობი მარიამ კაპანაძე იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯილდოთი დააჯილდოვეს.

მსახიობს „ახალ ჩიტოსეს ანიმაციის ფესტივალზე“ ანიმაციური ფილმისთვის „მიტოვებული სოფელი“ იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯილდო გადაეცა. ჯილდო მსახიობს იაპონიის სრულუფლებიანმა და საგანგებო ელჩმა საქართველოში იმამურა აკირამ გადასცა.

იაპონიის ელჩის რეზიდენციაში გამართულ ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი და ჩრდილების თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გელა კანდელაკი ესწრებოდნენ. მინისტრმა მსახიობს წარმატება პირადად მიულოცა.

მარიამ კაპანაძე პირველი ქართველი მსახიობია, რომელმაც „ახალ ჩიტოსეს ანიმაციის ფესტივალზე“ გამარჯვება მოიპოვა. კინორეჟისორი და მსახიობი 2013 წლიდან ჩრდილების თეატრის მსახიობია და თეატრის ყველა სპექტაკლში მონაწილეობს.

## სტეფანემ „რაც ამქვეყნად სიყვარული მეფობს“ ახლებურად ჩაწერა



მომღერალმა სტეფანემ მარინა ლეკიშვილის სიმღერა „რაც ამქვეყნად სიყვარული მეფობს“ ახლებურად ჩაწერა. სიმღერაზე ხელოვანმა ლენო რექორდსში იმუშავა:

— ყოველგვარი პრეზენტაციისა და პრეტენზიის გარეშე წარმოგიდგენთ მარინა ლეკიშვილის სიმღერას „რაც ამქვეყნად სიყვარული მეფობს“. ვერსია ეკუთვნის ჩემს გენიოს მეგობარს ლუკა თოფურიას, ბასი და დრამი ჩემი გენიოსი მეგობრები ლევან დეისაძე ზაზა ცერცვაძე, ჩაწერილია ჩემს გენიოს მეგობართან გიორგი გვარჯალაძესთან ლენო რექორდსში. გადაიღო ჩემმა გენიოსმა მეგობარმა ნესტან სინჯიკაშვილმა, ოპერატორი ლევან ლეკიშვილი (ბუდა).

უბრალოდ, მინდოდა, რამე სიახლე შემეტანა ჩემს რეპერტუარში. ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ მოგეწონებათ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ცნობილი ფრანგი ბალეტმეისტერი; 2. დეტექტიური ჟანრის ამერიკელი მწერალი; 3. რაიმეს განვითარების საფეხური, პერიოდი; 4. ყინულის ძველი ქართული სახელწოდება; 6. გემის მდგრადობის გამაწონასწორებელი ტვირთი; 9. კურსი, რომლითაც ბანკი აწარმოებს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას; 11. განსაკუთრებული ნიჭი; 15. სისხლის სამართლის საერთაშორისო პოლიცია; 16. მოკლემეტრაჟიანი კინოფილმების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში; 17. ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი სტატია, პუბლიკაცია; 19. ზღვისპირა კურორტი ლატვიაში; 21. ეკლესია, სამლოცველო; 22. ყაჩაღის ძველი სახელწოდება.

**თარაზულად:** 5. პირველი მაჯის საათების შემქმნელი გერმანელი მექანიკოსი; 7. რაიონული ცენტრი მესხეთში; 8. სინათლის შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 10. კუნძული მდინარე ენგურზე; 12. შიშველი, წვეტიანი კლდე; 13. უძრავი ქონების დროებით დაქირავება; 14. თეატრალური წარმოდგენისთვის საჭირო ნივთების ერთობლიობა; 18. შვედური მსუბუქი ავტომობილი; 20. შტატი აშშ-ში; 23. ესპანური ავიაკომპანია; 24. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი ირანში; 25. საზღვაო-სამხედრო პოლიგონი საქართველოში; 26. ღვინის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 27. შუამავალი ბირჟაზე.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

